დედოფლისწყარო

# შირაქი

№26 (10.131)
27 ივლისი—3 აგვისტო 2024 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

# ქართული საწებელი ევროპის ბაზარზე

***იდეა დიდი ხნის წინ დაიბადა, მაგრამ ლიცენზიების აღებასა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას დრო სჭირდებოდა. დოკუმენტაციის შემდეგ ჯერი საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ დანადგარებზე მიდგა. საწებლის მოსამზადებლად ნედლეულის გარჩევა-გარეცხვის შემდეგ მისი კურკისგან გათავისუფლება და სასურველ კონდიციამდე მიყვანაა აუცილებელი...***



თვეზე ცოტა მეტია, რაც არხილოსკალოში ქართული ტყემლის საწებლისა და აჯიკის საწარმო ამოქმედდა. საწარმო ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობს. როგორც საწარმოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ილია თუშიშვილმა** გაზეთ „შირაქს“ უთხრა, წელს 20 ტონაზე მეტი ალუჩა და ტყემალი კახეთის რეგიონის მცხოვრებლებისგან შეიძინეს. პროდუქცია საექსპორტოა და ის ევროპულ ბაზარზე გადის. „ჯერ მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ. პირველ პარტიას ვაგზავნით ევროპაში, ძირითადად, საფრანგეთსა და გერმანიაში. ამ ქვეყნებში ქართულ ტყემლის საწებელსა და აჯიკაზე დიდი მოთხოვნაა“.

ქართულ პროდუქციას, სახელწოდებით „მიმინო“, ევროპელი მომხმარებელი მალე დააგემოვნებს. „მიმინო“ მომხმარებელს 3 სახის - წითელ, მწვანე და ყვითელ ტყემალს სთავაზობს. საწარმოს დამფუძნებლებს იმედი აქვთ, რომ მათ მიერ წარმოებული ქართული საწებელი პოპულარობას მალე მოიპოვებს და მოთხოვნაც მზარდი იქნება.

საწარმოში დღეისათვის 15 ადამიანია დასაქმებული. ყველა ადგილობრივი მკვიდრია. საწარმოში ამბობენ, რომ მომავალში წარმოების ზრდასთან ერთად დასაქმებულთა რიცხვიც გაიზრდება.

23 ივლისს სოფელ არხილოსკალოში ახლადამოქმედებულ საწარმოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი** ეწვია და ქილებში ჩამოსხმის პროცესში მიიღო მინაწილეობა.

„არხილოსკალოში თუშიშვილების საწარმოს ვეწვიე. მისასალმებელია, რომ აქ მხოლოდ ადგილობრივები არიან დასაქმებულები. დღეს საქართველოში არაერთი სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს, რაც მათ საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობას მისცემს. ეს კი როგორც დასაქმებულთა რიცხვს, ასევე ადგილობრივი ნედლეულის რეალიზაციის რაოდენობასაც გაზრდის. წარმატებები მათ“ – აღნიშნა საწარმოში სტუმრობისას ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

წარმატებებს ვუსურვებთ ამ წამოწყებას. ბევრი ასეთი საწარმო საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს.

***ინგა შიოლაშვილი***

# ინფრასტრუქტურული პროექტები და განახლებული ავტოპარკი

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად კომუნალური მომსახურების ცენტრს ეწვია და თანამშრომლებს შეხვდა.***




ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, უკანასკნელ წლებში ცენტრი აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, მოეწყო სამედიცინო პუნქტი და გადაიდგა ყველა ის ნაბიჯი, რაც თითოეულ თანამშრომელს ღირსეულ სამუშაო პირობებს შეუქმნის.

„სერვისის დახმარებით ყოველდღიურად სუფთავდება და ლამაზდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ქუჩები, გრეიდერდება გზები და ეწყობა გარე განათებები. ამჟამად „ელიაობის“ და „დედოფლისწყაროობის“ სამზადისში ვართ. აღნიშნულ პროცესში აქტიურადაა ჩართული კომუნალური მომსახურების ცენტრი, რათა ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი დღესასწაულები ღირსეულად ჩავატაროთ. მინდა, თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის და წარმატებები ვუსურვო“ – აღნიშნა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება და მოწყობა აქტიურად გრძელდება. შიდა საუბნო გზებზე გადაადგილების პრობლემის აღმოფხვრაში სხვა სპეც ტექნიკასთან ერთად ჩართულია მუნიციპალიტეტის კუთვნილი გრეიდერი.

გასული კვირის განმავლობაში სოფელ ზემო ქედში გაიწმინდა და მოგრეიდერდა შიდა საუბნო და ე. წ. „კაი წყალთან“ მისასვლელი გზები (ჯამში 30 კილომეტრი).



ასევე, მერიის ინფორმაციით, სოფელ ქვემო ქედში მოწესრიგდა შიდა საუბნო და „თელის წყალთან“ მისასვლელი გზები, ამჟამად მიმდინარეობს ე.წ. „ნავისწყალთან“ მისასვლელი გზის გაწმენდა-მოგრეიდერება.

როგორც ადგილობრივები გაზეთ „შირაქს“ უყვებიან, ძლიერი წვიმების შედეგად გზის ეს მონაკვეთი გაუვალი ხდებოდა. ეწ. „ნავისწყალთან“ მისასვლელი გზა მნიშვნელოვანია ქვემო ქედის მოსახლეობისთვის. კარგია, რომ კომუნალური მომსახურების ცენტრის ახალგაზრდა თანამშრომლის, **გიორგი წიკლაურის** მეშვეობით ეს პრობლემა მოგვარდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გზების მოწესრიგება აქტიურ რეჟიმში კვლავაც გაგრძელდება.

***ინგა შიოლაშვილი***

## ონკოპაციენტებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა მარტივდება

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა მარტივდება. 24 ივლისიდან ძალაში შედის დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური პაციენტები, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ, საინექციო და საინფუზიო პრეპარატებს, პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებებში მიიღებენ.

გადაწყვეტილება პაციენტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით იქნა მიღებული, რადგან ამ დრომდე ბენეფიციარებს, მედიკამენტების მისაღებად, ჯერ კლინიკაში ვიზიტი, რეცეპტის აღება, შემდეგ აფთიაქში მისვლა, წამლის შეძენა და პროცედურის ჩასატარებლად, ისევ სამედიცინო დაწესებულებაში დაბრუნება უწევდათ.

ცვლილება შეეხება 24 ივლისის შემდეგ გამზადებული ელექტრონული რეცეპტების საფუძველზე გასაწევ მომსახურებას.

## მავნებელ მწერებთან ბრძოლა გრძელდება

აღმოსავლეთ საქართველოში კალიების საწინააღმდეგოდ 12 ათასი ჰა ფართობია დამუშავებული. მოსახლეობისთვის ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, კახეთში სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშიში მავნებლის - იტალიური კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებები მიმდინარეობს.

სურსათის სააგენტოს მცენარეთა დამცველები მავნებლის გავრცელების არეალს ადგენენ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, რის შემდეგაც იგეგმება წამლობითი ღონისძიებები. სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში იტალიური კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ყოველწლიურად ახორციელებს.

სააგენტოს მიერ ჩატარებული თანმიმდევრული სამუშაოების შედეგად, მიმდინარე წელს იტალიური კალიის გავრცელების არეალი რეგულირებადი და რაოდენობა - შემცირებულია. იტალიური კალია საშიში მავნებელია, რომელიც აზიანებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ანადგურებს მწვანე საფარს და ნარგავებს.

## გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში



ახლახან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოჩენილი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, თვალსაჩინო პედაგოგის ალექსანდრე შავერზაშვილის 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. შავერზაშვილის ოჯახის ფენომენი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი მუსიკალურ დინასტიებს აერთიანებს!

საიუბილეო საღამოს ფონად გასდევდა დედოფლისწყაროელი მხატვრული ქარგვის ოსტატის, ფერმწერის ლია მაისურაძის პერსონალური გამოფენა, ამჯერად იგი 24 ნამუშევრით წარსდგა საგამოფენო დარბაზში და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა დამთვალიერებელზე. საღამოს დასასრულ გოგა შავერზაშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, ოპერის მეგობარს ნანა ჭიჭინაძეს, საიუბილეო საღამოს წამყვანს, შესანიშნავ მუსიკოლოგს თამარ წულუკიძეს, ნაქარგების დიდოსტატს ლია მაისურაძეს, საიუბილეო საღამოში მონაწილე პროფესიონალ მუსიკოსებს და დამსწრე საზოგადოებას.

## კახეთის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა წელს დასრულდება - რა ეტაპზეა საგზაო პროექტები?

აქტიურად გრძელდება კახეთის მაგისტრალური გზის მშენებლობა. სხვადასხვა მონაკვეთზე სამუშაოების ტემპი განსხვავებულია, მაგრამ ყველგან მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს. უკვე დასრულების ეტაპზეა ბაკურციხე-წნორის მონაკვეთი, - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ, თბილისი-საგარეჯოს მაგისტრალური გზის მშენებლობის სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა 3 მონაკვეთადაა დაყოფილი, სადაც 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის ჩქაროსნული საავტომობილო გზა შენდება. გზის პირველი მონაკვეთი, 4 კმ-იანი ვაზიანის შემოვლითი გზა, გასულ წელს გაიხსნა. ვაზიანი-საგარეჯოსა და საგარეჯოს შემოვლითი გზის, ჯამში 31 კმ-ზე, სამუშაოები აქტიურად გრძელდება და წელს დასრულდება.

მინისტრის განცხადებით, სამუშაოები საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთზეც მიმდინარეობს, რომლის გახსნაც მომავალ წელს იგეგმება.

„პირველ, ყველაზე გრძელ 24 კმ-იან მონაკვეთზე, ინტენსიურად მიმდინარეობს საფარის დაგების სამუშაოები, დასრულებულია ყველა ხელოვნური ნაგებობა, მიმდინარეობს მისასვლელი გზების, კვანძების და სხვა კომუნიკაციების მშენებლობა. 35 კმ-იანი მონაკვეთი წელს დასრულდება, რაც კახეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. პროექტით გათვალისწინებულია 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის, გარე განათების სისტემით აღჭურვილი ჩქაროსნული გზის მშენებლობა, რომელიც, საერთაშორისო საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვით, 110 კმ საათში გადაადგილების საშუალებას მოგვცემს”, - განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

სამინისტროს ცნობით, თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და პროექტის ჯამური ღირებულება 527 მილიონ ლარს აჭარბებს.

„თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 527 მილიონ ლარზე მეტია. პროექტისთვის ტენდერი გამოცხადებული იყო ისეთი ფორმით, რომ მასში ქართულ კომპანიებს დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა. შესაბამისად, ვაზიანის შემოვლითი გზა სწორედ ქართულმა კომპანიამ ააშენა.

თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი, თბილისის კახეთთან და აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის ნაწილია.

ძველი გზა გადის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში: ვაზიანში, სართიჭალაში, ნინოწმინდასა და საგარეჯოში. ახალი გზა სრულად განტვირთავს მოძრაობას დასახლებებში, უზრუნველყოფს გადაადგილების უსაფრთხოებას და შეამცირებს მგზავრობის დროს“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## გახშირებული მიწისძვრები დედოფლისწყაროში

ივლისის მეორე ნახევარში ორი დღის განმავლობაში 4 მიწისძვრა დაფიქსირდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი - სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დაზუსტებული ინფორმაციით, 22 ივლისს დღის 12:08 საათზე მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ დედოფლისწყაროდან სამხრეთ-დასავლეთით, სოფელ ჭოეთთან 1 კმ-ში და 18 კმ სიღრმეზე დაფიქსირდა. მიწისძვრის სიმძლავრემ 4.9 მაგნიტუდა შეადგინა. განმეორებითი ბიძგები დაფიქსირდა 2 წუთში, რომლის სიმძლავრემ 3,8 მაგნიტუდას მიაღწია.

ხოლო, 17 ივლისს დილის 6:09 საათზე ეპიცენტრი კვლავაც ჭოეთი იყო, სოფელ ხორნაბუჯთან 2 კილომეტრში, 41 კმ სიღრმეზე და ამჯერად მიწისძვრის სიმძლავრემ 4.9 მაგნიტუდა შეადგინა. ორ საათში განმეორდა ბიძგები და ამჯერად მისმა სიმძლავრემ 3,6 მაგნიტუდას მიაღწია. ეპიცენტრი ქალაქ დედოფლისწყაროდან დასავლეთით 6 კილომეტრში, სოფელ ჭოეთთან, 48 კმ სიღრმეზე. მიწისძვრას ნგრევა და ზარალი არ გამოუწვევია.

# იგეგმებოდა თუ არა ბიძინა ივანიშვილზე თავდასხმა?

## „მავანნი ხელისუფლებაში მყოფი ლიდერების განეიტრალებას შეეცდებიან“

გასულ კვირას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც უწყება იძიებს უკრაინაში მყოფი, საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებით და დაფინანსებით, საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის, პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებს. სუს-ის ცნობით, ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებების მიზანია, ქვეყანაში არეულობის მოწყობის და ხელისუფლების დასუსტების ფონზე, დესტრუქციული ძალების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა. ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას გვიზიარებს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, მამუკა არეშიძე:

- ჩემი შეფასებით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოძიების დაწყებას ნამდვილად აქვს რეალური საფუძველი. ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებში, განსაკუთრებით - სამხედროებში, ასეთი განწყობები არსებობს და ამას საჯაროდაც აფიქსირებენ. რაც შეეხება ორგანიზებულ ღონისძიებას, მე კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ პროცესების განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ ამ მიმართულებით აუცილებლად იქნება ნაბიჯები გადადგმული.

***- რას გულისხმობთ?***

- უკვე ცხადი ხდება, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ხელისუფლების ხერხემალი არსებულ ფორმაში დარჩება. სამწუხაროდ, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, როდესაც მავანნი ძალაუფლებას პოლიტიკური გზით ვერ მოიპოვებენ, სხვა ტიპის მოქმედებებზე გადადიან. ამის ნათელი მაგალითია სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე, რობერტ ფიცოზე თავდასხმა. შეგახსენებთ, რომ თავდამსხმელმა მას ხუთი ჭრილობა მიაყენა. სულ ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო კანდიდატს, დონალდ ტრამპს თავს დაესხნენ, სიტყვით გამოსვლისას. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში იშვიათობას არ წარმოადგენს. დღევანდელი პროცესების განვითარების ლოგიკა კი სწორედ იმას გვკარნახობს, რომ მავანნი ხელისუფლებაში მყოფი ლიდერების განეიტრალებას შეეცდებიან.

***- თუ გაქვთ ვერსია, ვინ შეიძლება იდგეს „ორგანიზაციებული ღონისძიების“ უკან? სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და „ქართული ოცნების“ ლიდერები საქართველოს წინა ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებზე აკეთებენ აქცენტს.***

- მეც მაქვს ვარაუდები... როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ თავთან ვმსჯელობ, მსგავს საქმეებში ყველაზე გამოცდილი პერსონები მახსენდება, მაგრამ საჯაროდ გვარ-სახელებს ვერ დავასახელებ. ერთი მხრივ, შეიძლება, ვცდებოდე და იმავე წრიდან სხვა პირები იყვნენ ჩართულნი ამ კონკრეტულ ღონისძიებაში, მეორე მხრივ, შეიძლება არც ვცდებოდე და საგამოძიებო მოქმედებებს ხელი შევუშალო. მინიშნებით შემიძლია იმის თქმა, რომ საქმეში მესამე და მეოთხეხარისხოვანი ხალხია ჩართული, რომლებიც, ჩავარდნის შემთხვევაში, დამკვეთს ვერ დაასახელებენ. საჯარო სივრცეში ჩვენ ხშირად ვისმენთ რიგითი ყოფილი სამხედროებისა და სხვა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების განცხადებებს, რომლებიც პოლიტიკაში ამინდს ვერ ქმნიან. შესაძლებელია მათი განწყობების გამოყენება, ისევე, როგორც მეთიუ კრუქსისა და უფრო ადრე - კენედის მკვლელობის დროს ლი ჰარვი ოსვალდის განწყობები გამოიყენეს. როგორც კენედის მკვლელობა არ იყო ერთი კაცის დაგეგმილი, ასევე, არა მგონია, ტრამპზე თავდასხმა ყოფილიყო მხოლოდ ამ ახალგაზრდა კაცის ორგანიზებული. მართალია, ოფიციალურად დღემდე არ არის დადასტურებული, რომ ლი ჰარვი ოსვალდის უკან ვინმე იდგა, მაგრამ ლოგიკა გვკარნახობს, რომ ის მარტო ვერ დაგეგმავდა პრეზიდენტის მკვლელობას.

***ქართულ - ამერიკული ურთიერთობები აუცილებლად ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდება?***

ქართულ - ამერიკული ურთიერთობები აუცილებლად ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდება, ურთიერთობები ბევრად უფრო ინტენსიური გახდება, ვიდრე ის ოდესმე ყოფილა. ნებისმიერ ურთიერთობაში შეიძლება იყოს გარკვეული მომენტები, როდესაც მცირედი გაურკვევლობები არსებობს, - ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის, იური კიმის საპასუხოდ განაცხადა. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და ამ ურთიერთობას კვლავ დიდი პოტენციალი გააჩნია.

„ქართულ - ამერიკული აუცილებლად ნორმალურ ფარგლებს დაუბრუნდება და დარწმუნებული ვარ, ის ბევრად უფრო ინტენსიური გახდება, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ქართულ-ამერიკულმა ურთიერთობებმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ნებისმიერ ურთიერთობაში შეიძლება არსებობდეს გარკვეული მომენტები, როდესაც მცირედი გაურკვევლობები არის. ჩვენს ურთიერთობას აქვს ისეთი დიდი პოტენციალი და იმდენად ბევრი რესურსი, რომ დარწმუნებული ვარ და ხაზგასმით გეუბნებით, რომ სულ მალე, ეს ნიშნული კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე იქნება ასული“, - განაცხადა რატი ბრეგაძემ.

ცნობისთვის, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის, იური კიმმა განაცხადა, რომ ტყუილია ის ინფორმაცია, რომ აშშ საქართველოში გადატრიალების მოწყობის მიზნით ფარულ ოპერაციას ხელმძღვანელობს.

„როდესაც ამტკიცებ, რომ აშშ-ს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურს, ეს ყალბი ინფორმაციაა. როდესაც ამტკიცებ, ამერიკის ელჩი, ამერიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, საქართველოს მსგავსი მეგობარი ქვეყნის არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობის მიზნით ფარულ ოპერაციას ხელმძღვანელობს, კიდევ ერთხელ, ყალბი ინფორმაციაა. როდესაც ამტკიცებ, რომ გლობალური ომის პარტია არსებობს, რომელსაც საქართველოსთვის ზიანის მიყენება სურს, ეს ყალბი ინფორმაციაა“, - განაცხადა იური კიმმა.

# გუნება-განწყობილება და ბედნიერების ჰორმონები

***ენდოკრინული სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული არა მარტო ჩვენი ჯანმრთელობა, ასევე ჩვენი გუნება-განწყობილება. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ტვინში გამომუშავდება ე. წ. ბედნიერების ჰორმონები.***



მათგან ყველაზე ცნობილი ჰორმონებია ენდორფინები, დოფამინი და სეროტონინი. როცა ხდება ზედმეტი სეროტონინის გამომუშავება, ასეთ დროს ადამიანი ცხოვრებას უყურებს პოზიტიურად, ხოლო როცა ეცემა ბედნიერების ჰორმონების გამოყოფა, იწყება მძიმე დეპრესია.

მეცნიერების აზრით ბედნიერება არის ქიმიური რეაქცია. მოსახლეობის 80%-ის შემთხვევაში გენეტიკა განსაზღვრავს ბედნიერების შეგრძნების უნარს და პირდაპირ არის დამოკიდებული ჰორმონალურ ფონზე. რაც მეტი ბედნიერების ჰორმონი წარმოიქმნება, მით მეტ სიამოვნებას იღებს ადამიანი ცხოვრებისგან, უფრო მეტიც, ადამიანები რომლებიც მიდრეკილნი არიან სხვადასხვა დამოკიდებულებებისადმი, თავიდანვე იბადებიან ბედნიერების ჰორმონების დეფიციტით.

დღეისათვის მიმდინარეობს ისეთი პრეპარატების ძიება, რომლებითაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა დამოკიდებულების - ალკოჰოლიზმის, მოწევის, ნარკომანიის, აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილების მკურნალობა. უკვე დადგენილია, რომ არსებობს თანდაყოლილი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან, ანუ არსებობენ ადამიანები მიდრეკილნი და არამიდრეკილნი სხვადასხვა დამოკიდებულებებისადმი. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიდრეკილების მექანიზმის შესწავლა. მიზეზი შეიძლება ვეძებოთ ტვინის ბიოქიმიაში. აქ არის განთავსებული ე.წ. სიამოვნების ცენტრი, რომელიც პასუხს აგებს ბედნიერების ჰორმონების გამომუშავებაზე. საკმარისია მივიღოთ ალკოჰოლი, ან ნარკოტიკი, მაშინვე ძლიერდება ნივთიერებების გამოყოფა, ქრება სტრესი და განგაშის შეგრძნება, წარმოიქმნება მოკლევადიანი სიამოვნების მოზღვავება. შემდგომში გარდაუვალია გუნების გაფუჭება.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ბედნიერების ჰორმონების გამომუშავებას, ადამიანი გაუაზრებლად იღებს ნარკოტიკს, თანდათანობით ზრდის დოზებს და კარგავს კონტროლს. ასე ვითარდება დამოკიდებულების მანკიერი წრე. ფსიქოაქტიური ნივთიერებები - ალკოჰოლი და ნარკოტიკები რომ არ იწვევდნენ მძიმე დამოკიდებულებას, რომელსაც მივყავართ ადამიანის დაღუპვამდე, მაშინ ისინი იქნებოდნენ სამკურნალო საშუალებები ასეთი ადამიანებისთვის. ჯერჯერობით მედიცინამ არ იცის, როგორ უნდა უმკურნალონ იმ ხალხს, ვისაც აქვს სიამოვნების ჰორმონების თანდაყოლილი დეფიციტი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალში შეძლებენ ყველანაირი დამოკიდებულების მკურნალობას.

ადამიანის ბედნიერებაში დიდ როლს თამაშობს ენდორფინი. არსებობს რამოდენიმე ჰორმონი, რომლებსაც ენდორფინების ფუნქცია აქვთ.

**1. ენდორფინები** - ბედნიერებისა და სიხარულის ჰორმონების ჯგუფია, ისინი განსაზღვრავენ ადამიანის ემოციურ მდგომარეობას. ენდორფინებს ადამიანი ეიფორიაში მოჰყავს, მას ასევე „ბუნებრივ ნარკოტიკს" უწოდებენ. ენდორფინების მოქმედება წააგავს ნარკოტიკული ნივთიერებების მოქმედების მექნიზმს, რომლის არსი ნერვული დაბოლოებების ბლოკირებაშია, რადგან ნერვული იმპულსები ბლოკავს მტკივნეულ სიგნალებს. ადამიანი ენდორფინების ზეგავლენის ქვეშ ვერ გრძნობს უსიამოვნო ზემოქმედებას. ნებისმიერი დადებითი განცდა იწვევს სისხლში ენდორფინების მატებას. სისხლში მათი დონის აწევა შესაძლებელია, თუ ორგანიზმს ფიზიკურად დავტვირთავთ, მაგ. სპორტით, ვარჯიშით. სისხლში ენდორფინების რაოდენობა იზრდება სიცილის და თქვენ წარმოიდინეთ ხელოვნური ღიმილის დროსაც.

**2. ოქსიტოცინი** - სინაზის და ნდობის ჰორმონი. წარმოიქმნება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას. ამიტომ შეყვარებული ადამიანი გრძნობს სიმსუბუქეს, თითქოს დაფრინავს და თავი ყოვლისშემძლე გონია.

**3. სეროტონინი** - ტონუსის, ოპტიმიზმის, კარგი განწყობის ჰორმონი. მას მყისიერად გამოყოფს ორგანიზმი, როგორც კი მიირთმევთ შოკოლადს, ნაყინს, ბანანს, ფინიკს, მსხალს, კარალიოკს და სხვა საკვებს, რომელიც შეიცავს ამინომჟავა ტრიპტოფანს. მათ, ვისაც უყვართ ეს პროდუქტები, გაცილებით იშვიათად აწუხებთ უძილობა, უგუნებობა, დეპრესია და ნევროზი. სეროტონინი გამომუშავდება მაშინაც, როდესაც თავს ღირებულად და მნიშვნელოვნად ვგრძნობთ. გარდა ამისა, მას მადის კონტროლის უნარიც აქვს.

სეროტონინი შეგვიძლია გამოვიმუშავოთ შემდეგნაირად: დეპრესიის დროს ტვინის გარკვეულ ნაწილს არ ძალუძს დაადგინოს ჩვენ მიერ გაფიქრებული წარმატება თუ დადებითი მოვლენა რეალურია თუ გამოგონილია. საკმარისია, „ვიოცნებოთ", წარმოვიდგინოთ ჩვენთვის სასურველი მოვლენა, რომ სეროტონინიც გამომუშავდება. თუმცა მათ, ვისაც არ უყვარს ოცნება და არც დეპრესიულობას უჩივის, შეუძლიათ მიმართონ სულ მცირე 20 წუთიან მზის აბაზანას, როგორც სეროტონინის გამომუშავების ბუნებრივ წყაროს.

**4. დოფამინი** - კმაყოფილებისა და სიამოვნების ჰორმონი. მისი წყალობით ადამიანს უწევს სასიცოცხლო ტონუსი, უბრწყინავს თვალები, ემატება მიზანსწრაფვა და ხდება უფრო მოტივირებული. იმატებს მამაკაცისა და ქალის ჰორმონები - ტესტოსტერონი და ესტროგენი, მათ იძლევა სიყვარული, სექსი, კარგი ეროტიკული განცდები. დოფამინი მოტორულ მოძრაობებსაც აკონტროლებს, მისი უკმარისობა პარკინსონის დაავადების მთავარი მიზეზი გახლავთ, ზედმეტი რაოდენობა კი შიზოფრენიას იწვევს. დოფამინს მადის დამთრგუნველი გავლენა აქვს.

**5. ადრენალინი და ნორადრენალინი** - მათი მოქმედება ხდება სტრესის დროს და მისი მეშვეობით ადამიანს ერთი შეხედვით შეუძლებელის შეძლების უნარი შესწევს.

**6. მელატონინი** - ძილის ჰორმონი, ის სერატონინის საპირისპიროა. გამომუშავდება დღის სინათლის არ არსებობისას. ამიტომ ოთახის ჩაბნელება დასვენებასა და ადვილად ჩაძინებას უწყობს ხელს. მისი გამოყოფა პიკს ღამის 2 საათისთვის აღწევს, ამიტომ აუცილებელია ამ დროისთვის ადამიანს ეძინოს. მელატონინი დაბერების პროცესს ანელებს. უძილობა მელატონინის დეფიციტს, მაშასადამე ნეგატიურ გუნება-განწყობასა და უენერგიობას განაპირობებს, თუმცა არც ჭარბი მელატონინია კარგი, ეს უკანასკნელი „ანტი-ბედნიერებას" უტოლდება.

მელატონინის გამომუშავების სტიმულირება სიბნელესთანაა კავშირში. სკანდინავიის ქვეყნებში დაბნელება ზამთარში დღის 3 საათიდან იწყება, ამრიგად ნორვეგიელებს მელატონინის ზედმეტად დიდი რაოდენობა აქვთ, ეს კი მათი დეპრესიულობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ, რომ არ ვისაუბროთ D ვიტამინის მკვეთრ დეფიციტზე.

ენდორფინების უკმარისობა იწვევს დეპრესიას. დეპრესიის დროს ადამიანები ბევრს მიირთმევენ რაც მათ სიამოვნებას ჰგვრით. იმისათვის, რომ ენდორფინების გამოთავისუფლება გამოვიწვიოთ და თავი ბედნიერად ვიგრძნოთ, სულაც არ არის საჭირო ექსტრემალური ქმედების ჩადენა, ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება. არსებობს უამრავი ბუნებრივი და უსაფრთხო მეთოდი, ერთერთი მეთოდია საკუთარი აზრების კონტროლი და დადებითად აზროვნება, უარყოფითი აზრების გაჩენისთანავე მისი დადებითად შეცვლა. სპორტი ხელს უწყობს ენდორფინების გამოტყორცნას სისხლში.

გარკვეული პროდუქტი დადებითი განწყობის მომტანია, მაგ. წიწაკა ჩილი - გაიჩერეთ წიწაკა ენაზე ცოტა ხნით და თქვენ თავს იგრძნობთ უკეთ, ტკივილსაც კი გაიყუჩებთ. ქვემოთაა ჩამოთვლილი ის პროდუქტები, რომელიც ბედნიერების ჰორმონების გამომუშავებაში დაგვეხმარება: ყავა, ნიგოზი და წითელი კარტოფილი ენერგიისთვის, ორაგული, კვერცხი, საქონლის ხორცი, პომიდორი, ფერადი ბოსტნეული, ბანანი, ნიორი დადებითი განწყობისთვის. შოკოლადი ასევე იწვევს განწყობის ამაღლებას.

***ულტრაიისფერი სხივებიც იწვევს ენდორფინების სტიმულირებას. მუსიკით მიღებული სიამოვნებაც ენდორფინების გამოთავისუფლების შედეგია. ბედნიერების ჰორმონები წარმოიქმნება დადებითი ემოციების, სიცილის, სიხარულის, სიყვარულის, ვნების, მადლიერების შედეგად, რომლებიც აძლიერებენ იმუნურ სისტემას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და იწვევს ადამიანში კარგ გუნება-განწყობილებას, ბედნიერების შეგრძნებას და დიდხანს სიცოცხლეს.***

*მოამზადა*
**ხათუნა ბენაშვილმა**

# სასკოლო კვების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება წლის ბოლოსთვის იგეგმება

**საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, სკოლებში უფასო კვების პროგრამის დანერგვისთვის ანალიტიკური სამუშაოები გრძელდება და შედეგების ანგარიში, ისევე როგორც სამომავლო რეკომენდაციები, წლის ბოლოს გახდება ცნობილი.**

გასულ თვეში განათლების მინისტრმა, გიორგი ამილახვარმა პარლამენტში, „მინისტრის საათის" ფორმატში მოხსენებისას, სასკოლო კვების პროგრამაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ „სასკოლო კვების პროგრამის" ამოქმედებასთან დაკავშირებით დეტალები 1-2 თვეში გახდებოდა ცნობილი.

BM.GE-ს ინფორმაციით, მინისტრმა განაცხადა რომ ბოლო ათეული წლების მანძილზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა სასკოლო კვების პროგრამის არარსებობაა. შესაბამისად, სასკოლო სისტემის კვების ასაწყობად განსავითარებელია ბევრი კომპონენტის ერთობლიობა: ინფრასტრუქტურა, მომწოდებელთა ქსელი, სტანდარტები, კვალიფიციური პერსონალი და ა.შ. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და პარტნიორ სამინისტროებთან თანამშრომლობით ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის მიმართულებით.

„სასკოლო ინფრასტრუქტურის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირველ ეტაპზე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა სკოლების ნაწილში მოქმედი ბუფეტებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. პარტნიორი სამინისტროებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები.

დამტკიცდა „სასკოლო კვების პროგრამა", რომლის ფარგლებში მუნიციპალურ დონეზე განხორციელდა ადგილობრივი საჭიროებების დეტალური კვლევა სასკოლო კვების ორგანიზების მოდელების შესარჩევად. შეიქმნა შესაბამისი ჯგუფი, განისაზღვრა სამუშაოების დეტალური გეგმა, მომზადდა კითხვარი და განხორციელდა საველე სამუშაოები საქართველოს მასშტაბით. ჯგუფის მიერ თითოეულ სკოლაზე შეგროვდა საჭირო ინფორმაცია და ფოტომასალა კვების მოდელების შესაბამისობის დასადგენად, სკოლების შესაძლებლობებთან და პოტენციალთან მიმართებით.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ანალიტიკური სამუშაოები, რის საფუძველზეც განისაზღვრება რომელ სკოლას სასკოლო კვების უზრუნველყოფის რომელი მოდელის განხორციელების შესაძლებლობა ექნება. შედეგების ანგარიში და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავება სასკოლო კვების პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილია წლის ბოლოსთვის", - ნათქვამია სამინისტროს წერილში.

# 2024 წლის ყველაზე მოთხოვნადი დისტანციური სამსახურები

**ბოლო ათეულ წლებში ტექნოლოგიურმა განვითარებამ ტრადიციული ინდუსტრიები გააციფრულა, რასაც სამუშაო ბაზრის გაფართოება და მოთხოვნადი პროფესიების ტენდენციების ცვლილება მოჰყვა.**

კარიერის არჩევისას, იქნება ეს პირველი პროფესიის დაუფლება თუ არსებულის შეცვლა, მნიშვნელოვანია, იცოდე რომელი პროფესიებია დღესდღეობით მოთხოვნადი და რომელ სფეროში გაქვს უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობა.

სწორედ ამიტომ, გთავაზობთ იმ 5 პროფესიის ჩამონათვალსა და მოკლე აღწერას, რომლებიც გლობალურ სამუშაო ბაზარზე მაღალი მოთხოვნადობით გამოირჩევა.

თუ თქვენ ეძებთ სრულიად დისტანციურ სამუშაოს, რომელიც განსაკუთრებულად კარგად ანაზღაურდება, შეამოწმეთ ეს მოკლე სია, რომელიც ქვემოთაა შედგენილი. ამ სამუშაოებიდან ზოგიერთი საკმაოდ უნიკალური და საინტერესოა თავისი ბუნებით და კარგად შეეფერება კონკრეტულ პიროვნებებს ან ინტერესებს.

### ბაზრის ანალიტიკოსი

ბაზრის კვლევა ნებისმიერი კომპანიის სამუშაო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია - ანალიტიკოსმა უნდა მოიკვლიოს ინფორმაცია კონკურენტების, მომხმარებლებისა და პოტენციური ბაზრების შესახებ და ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიტანოს დასკვნები, რომლებიც კომპანიას სწორი სამოქმედო გეგმის შედგენაში დაეხმარება.

მართალია, კომპანიათა საქმიანობის მრავალფეროვანი ხასიათიდან გამომდინარე, მათი მოთხოვნები განსხვავებულია, თუმცა, შეგვიძლია გამოვყოთ ბაზრის ანალიტიკოსის ძირითადი პასუხისმგებლობები, რომლებიც მოიცავს:

•მონაცემთა შეგროვების ტექნიკის განვითარება;

•მონაცემთა მოდელირების ხელსაწყოების გამოყენება;

•მონაცემთა გაანალიზება და მიგნებების რეპორტინგი;

•მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემების დამუშავება და მიწოდება;

•პროდუქტის ტესტირება და ბრენდის კვლევა.

### IT მენეჯერი

IT მენეჯერი თანამედროვე სამუშაო სივრცეში, რომელიც თითქმის მთლიანად გაციფრულებულია, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ირგებს. მისი მიზანია, კომპანიის ტექნოლოგიების სისტემების მონიტორინგი და ადმინისტრირება, რათა საჭირო პროცესები შეუფერხებლად წარიმართოს.

მას შეიძლება ევალებოდეს:

•კომპიუტერული სისტემების, აპარატურისა და ქსელების გამართვა და ზედამხედველობა;

•IT ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული გეგმის შემუშავება და განხორციელება;

•IT გუნდის ხელმძღვანელობა და განვითარების ხელშეწყობა;

•საჭიროების შემთხვევაში, სისტემის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების გაცემა;

•კომპანიაში არსებული ინფორმაციისა და რესურსების დაცვის მიზნით უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება;

•თანამშრომლების ტექნიკური მხარდაჭერა.

### Software დეველოპერი

Software დეველოპერებს შესაძლოა ციფრული არქიტექტორები ვუწოდოთ. ისინი კოდების მეშვეობით ქმნიან და ზედამხედველობენ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება, როგორც ოპერაციული სისტემების, ისე მობილური აპლიკაციებისა და ვიდეო თამაშების შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად.



### ხშირად მათი მოვალეობებია:

•პროგრამული უზრუნველყოფისთვის მომხმარებელთა საჭიროებების ანალიზი;

•Software პროგრამების დაპროექტება, ტესტირება და შექმნა;

•პროგრამის გამართულად ფუნქციონირებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა;

•ახალი software სისტემების, ვებ-გვერდების, პროგრამებისა და აპლიკაციების კვლევა და შექმნა.

### Web დეველოპერი

ისინი ქმნიან ვებ-გვერდებს ბრენდების, კომპანიებისა და კლიენტებისათვის. მათი ძირითადი როლი ვებ-საიტის ვიზუალური გამართვა და ნავიგაციის ოპტიმიზაციაა, თუმცა მათ პასუხისმგებლობაში შედის საიტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფაც.

არსებობს ვებ დეველოპმენტის 4 ძირითადი განშტოება (back-end, front-end, fullstack და webmaster), რომელთა საქმიანობაც ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მოვალეობის გამოყოფა:

•საიტის კოდირება (ძირითადად HTML, XML ან JavaScript-ის გამოყენებით);

•მომხმარებლის ინტერფეისისა (UI) და სანავიგაციო მენიუს შექნა;

•საიტის მუშაობის ან მომხმარებლების გამოცდილებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა (UX);

•დიზაინერებთან, დეველოპერებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა;

•ვებ-აპლიკაციების ტესტირება.

### ციფრული მარკეტინგის მენეჯერი

ციფრული მარკეტინგის მენეჯერი ავითარებს და აკონტროლებს კომპანიის ციფრულ პლატფორმებსა და მარკეტინგულ კამპანიებს. ეს როლი მოითხოვს ბრენდის ცნობადობის გაზრდას, კომპანიის ვებსაიტზე ტრაფიკის გაძლიერებას და გაყიდვების პოტენციალის გენერირებას. ციფრული მარკეტინგის მენეჯერი მეთვალყურეობს და უზრუნველყოფს მარკეტინგული გუნდის მხარდაჭერას რამდენიმე მიმართულებით, როგორიცაა:

•კონკურენტების კვლევა და რეპორტინგი;

•მარკეტინგული კამპანიების ოპტიმიზაცია, როგორიცაა იმეილ მარკეტინგი, სოც. მედია და ციფრული რეკლამირება.

•მომხმარებელთა გამოცდილების მონიტორინგი;

•კამპანიების შედეგების გაზომვა და რეპორტინგი;

•ახალი ციფრული არხებისა, ტენდენციებისა და ხელსაწყოების დანერგვა.

*მოამზადა*
**ქუჟუნა ყანჩაშვილმა**

# უცნობი ფაქტები თბილისზე

***თბილისის ისტორიაში არსებობს ისეთი საინტერესო ფაქტები, ამბები, რომელთა შესახებაც ბევრს არც სმენია და ისინი არც სკოლაში ისწავლება.***

თბილისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი ყაჩაღი, დაუნდობელი ავაზაკი - ტატო წულუკიძე ცხოვრობდა, რომელიც ბოლოს ავლაბარში ჩამოახრჩვეს. სწორედ ეს ტატო ჰყავს ილიას მოთხრობაში პროტოტიპად გამოყენებული.

იმ სასაკლაოს შესახებ სხვებიც წერდნენ, მაგალითად, დიუმა ქალაქში რომ შემოვიდა, ამაღლებულ ადგილას აღმართული სახრჩობელა დაინახა, რომელზეც კაცი იყო ჩამომხრჩვალი... მერე იმ ადგილს „ვარდის მოედანი“ დაერქვა, იმ მოსაზრებით, რომ იქ ბევრი სისხლი იღვრებოდა...

* * *

ქაშუეთის ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში ინგრეოდა. დავით სარაჯიშვილმა მისი განახლება გადაწყვიტა. ჯერ შეასწავლინა, რამდენად შეიძლებოდა მისი გამაგრება, მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, გამაგრებისთვის გაღებული თანხა, უაზრო ხარჯი იქნებოდა, ვერ განახლდებოდა და ამიტომ, მეცენატის ინიციატივითა და დაფინანსებით, გადაწყვიტეს, დაენგრიათ ძველი ქაშუეთი და მის ნაცვლად, ახალი ეკლესია აეგოთ. ახლის აშენება გერმანელ არქიტექტორს, ბილ ფელდს სთხოვეს. სარჯიშვილს სამთავისის ტაძარი მოსწონდა და უთხრა, რომ ნიმუშად ის აეღო. ბილ ფელდმა მართლაც ააგო ქაშუეთი, მაგრამ ბევრი უკმაყოფილო დარჩა. სამთავისისგან განსხვავებით, ტაძარი ცივი გამოვიდაო, მაშინ ასე ამბობდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ გერმანელი ვერ ჩასწვდა ქართული საკულტო ნაგებობის არქიტექტურას.

* * *

ყველამ იცის თბილისში, ზემო ჩუღურეთში, ერთ-ერთი დასალება - „სვანთის უბანი“, რომელიც ბევრს ჰგონია, რომ რადგან შემაღლებულ ადგილზეა, ამიტომ ჰქვია „სვანეთის უბანი“ და ასევე იმასაც ამბობენ, რომ იქ ადრე სვანები ცხოვრობდნენ და ეს სახელი ამიტომ ეწოდაო. არადა, ამ უბნის ტერიტორიაზე ადრე ტყე იყო და იქაურბა დაუსახლებელი ტერიტორია გახლდათ.XIX საუკუნის ბოლოს იქ გორის რაიონის სოფელ სვენეთიდან ხალხი ჩამოსახლდა და იქაურობა აითვისეს. მოკლედ, იქ სვენეთელები დასახლდნენ. თავიდან, „სვენეთის უბანს“ ეძახდნენ, მერე ამ სიტყვამ „სვენეთი“ გარკვეული ცვლილება განიცადა და გახდა „სვანეთი“.

* * *





ფუნიკულიორი, რომელიც 1905 წელს აშენდა, თბილისს ძალიან უხდება. ახლაც კი ძვირი დაჯდებოდა იმ ციცაბო ფერდობზე მისი აშენება, ლიანდაგების გაყვანა, მით უფრო მაშინ... ბევრს ჰგონია, რომ რადგან კარგი ხედია იქიდან, კარგი სასეირნო ადგილია, ფუნიკულიორიც ამიტომ გაკეთდა. სინამდვილეში ასე არ არის. მშენებლობა იქ XX საუკუნის დასაწყისში იმიტომ წამოიწყეს, რომ ზემო ქალაქის გაშენებას აპირებდნენ, რადგანაც თბილისი მტკვრის აღმა და დაღმა ძალიან გაიწელა, ფიქრობდნენ, რომ მთაწმინდის პლატო ახალი ქალაქისთვის გამოეყენებინათ. იქაურობა მართლაც მიწის ნაკვეთებად გაიყიდა, დაიხაზა, ქუჩათა ქსელიც შეიქმნა.

მოკლედ, მდიდრების უბანი იყო დაგეგმილი და ამიტომ ასეთი ბიზნეს პროექტი მოიფიქრეს, რომელიც ბელგიელებმა დააპროექტეს. უზარმაზარი ინვესტიცია ჩაიდო, მაგრამ იქ მშენებლობის პირველი ეტაპი რომ დამთავრდა, რუსეთის იმპერიაში და განსაკუთრებით, თბილისში 1905-07 წლებში პირველი რევოლუცია დაიწყო. ქალაქში გამოსვლები იყო, მაუზერიანი ხალხი დარბოდა, არეულობა, არასტაბილური სიტუაცია იყო და სამშენებლო ბიზნესი, ცხადია, იმ პერიოდში წინ ვერ წავიდოდა, დეველოპერებს არ უყვართ არეულობა და ამიტომ რადგან შეჩერდა, იმის მერე ჩავარდა კიდეც ეს პროექტი. თუმცა, ქალაქს დარჩა ფუნიკულიორი.

შემდეგ წლებში ფიქრობდნენ, რა ექნათ იქაურობისთვის და ბოლოს ბერიას დროს სტალინის სახელობის პარკი გაშენდა, რომელიც დღეს „ბომბორას“ სახელს ატარებს.

* * *

საქართველოში პირველად კარტოფილი თბილისში გასინჯეს მას შემდეგ, რაც გერმანელები 1918 წელს ჩვენთან გადმოასახლეს. ტფილისში იმხანად იყო ორი სოფელი: ერთი კუკია-ჩუღურეთის ადგილას და „ნოვოე ტიფლისი“, დღევანდელი სამტრედიის ქუჩის ტერიტორიაზე, ანუ ალექსანდერდორფი. გერმანელები ამ ადგილებში რომ დასახლდნენ, იმის მერე გავიგეთ კარტოფილის გემო, ასევე ლუდის (მთის ლუდი კი გვქონდა, მაგრამ ის ტრანსპორტირებას ვერ უძლებდა), ასევე გავსინჯეთ არაჟანი, ფუნთუშა და ხის კასრიც პირველად მაშინ შემოვიდა ხმარებაში. შემდეგ წლებში კი სტალინმა ისინი აქედან გაასახლა. დღევანდელი ალმაშენებელის გამზირი მთლიანად გერმანელების დასახლება იყო, რომელსაც ბოლოს გერმანულ კოლონას ეძახდნენ. იმ პერიოდში გერმანელები იყვნენ ბოლნისსა და თეთრწყაროშიც. მერე სტალინმა იქიდან აჰყრა და გაასახლა...

*მოამზადა*
**ხათუნა ბენაშვილმა**

# „სოფელში ნდობა დავიმსახურე და ამას ვგრძნობ“

**სპორტით დაწყებული შრომითი საქმიანობა მიწათმომწყობის პოზიციაზე გააგრძელა. თითქმის 50 წელია მშობლიურ სოფელს ემსახურება, ორჯერ იყო სოფელ არხილოსკალოს მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში და სოფლის რწმუნებულიც. შალვა ხორნაული ამაყობს მის მიერ განვლილი გზით და ფიქრობს, რომ სოფელს დღემდე გულწრფელად ემსახურება. განსაკუთრებული აქტიურობისთვის გასულ წელს დაჯილდოვდა კიდეც, თუმცა, მისთვის მთავარი ჯილდო ხალხის მხარდაჭერაა, რის შედეგადაც რამდენჯერმე შეძლო საკრებულოს დეპუტატის მანდატის მოპოვება.**

**შალვა ხორნაული:** „არხილოსკალოში დავიბადე, 1956 წლის 22 ივლისს, აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. მოგეხსენებათ, მაშინ ათწლიანი სკოლა იყო. ბავშვობიდან სპორტი მაინტერესებდა, სპორტის გარდა არაფერზე მიფიქრია. 7 წლის განმავლობაში წითელწყაროს ფრენბურთის რაიონულ ნაკრებში ვთამაშობდი, ერთხანს ფეხბურთსაც მივდევდი. ფრენბურთის ნაკრებს წვრთნიდნენ ჟორა ყოჩიაშვილი და პაატა პატატიშვილი. მეცადინეობა წითელწყაროში გვიტარდებოდა. გარკვეული მიღწევებიც იყო, კახეთის მასშტაბით საკმაოდ წარმატებული ნაკრები გვქონდა, რეგიონში თითქმის ყველა რაიონს ვჯობნიდით და როცა ზონალური, ან რეგიონალური შეჯიბრებები ტარდებოდა, ვიმარჯვებდით, საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გადავდიოდით ხოლმე. ჩემპიონები არ გავმხდარვართ, მაგრამ გარკვეულ შედეგებს მუდმივად ვაღწევდით. 1974 წელს სავალდებულო საბჭოთა ჯარში გამიწვიეს, ორი წლის შემდეგ კი ჯარიდან დაბრუნებულმა ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავაბარე. პროფესიის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია, ბუნებრივია სპორტი ავირჩიე.

სასწავლებლის დამთავრებისთანავე დავბრუნდი. შირაქის დასახლებაში, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში გამანაწილეს და იქ დავიწყე მუშაობა. იმ პერიოდში კოლმეურნეობებსა და ცალკეულ მეურნეობებში ასეთი შტატი არსებობდა: ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი და ამ პოზიციაზე თითქმის ორი წელი ვიმუშავე. მაშინ ყველა ორგანიზაციაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სპორტულ აქტივობებს. თითქმის ყველანაირ სპორტში ვავარჯიშებდით. ძირითადად: ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში და ტყვიის სროლა. მძლეოსნობაშიც ცალკე ჯგუფები იყო. ორი წლის შემდეგ მშობლიურ სოფელ არხილოსკალოში გადამიყვანეს, იქაც ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვიყავი და ამჯერად არხილოსკალოში ვეწეოდი იგივე საქმიანობას. კოლმეურნეობის მაშინდელმა თავმჯდომარემ მიშა კობაიძემ მოინდომა იქ მემუშავა, მან 20 წლის განმავლობაში მართა სოფელი არხილოსკალო და მისი დამსახურებით დავუბრუნდი მშობლიურ სოფელს. მაშინ რეგიონებში მეტი ხალხი იყო, ცხოვრება დუღდა, მეც ძალიან აქტიური ვიყავი. უფროს თაობას კარგად ახსოვს, ისეთი ეპოქა იყო, ყველაფერი მუშაობდა. მაშინ სოფლებში ყველა რაღაცით დაკავებული იყო, ისეთი პოლიტიკური წყობა იყო, რომ უსაქმოდ და უმუშევრად ყოფნა დაუშვებლად მიიჩნეოდა. შედარებით მეტი ინტერესი და მოტივაცია არსებობდა ახალგაზრდებშიც. ძალიან დატვირთული სპორტული ცხოვრება იყო. იმართებოდა უამრავი სპარტაკიადა, საქართველოს და რაიონული პირველობა. ჩვენც არ ვჩერდებოდით და ყველაფერს ვცდილობდით. ხან მეზობელ სოფლებს ვეჯიბრებოდით, ხან ჩვენ ვსტუმრობდით მათ, ხან ისინი მოდიოდნენ, სხვა რაიონებშიც დავდიოდით. ყოველ შაბათ-კვირა სოფელში რომელიმე სახეობაში შეჯიბრი ტარდებოდა. 5 წლის განმავლობაში არხილოსკალოში ვიმუშავე. თუკი სოფლებში და მთლიანად რაიონში ხალხს ვიცნობ, ყველა სპორტში მუშაობის დროს გავიცანი, ამ საქმიანობამ ძალიან აქტიური ურთიერთობები შემძინა.

1979 წელს დავქორწინდი. ჩემი მეუღლე ეთერ ჭინჭარაული ქვემო ქედიდანაა, აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული შოთა ჭინჭარაულის და. მყავს სამი შვილი და 5 შვილიშვილი.



1980-81 წლებში ქალაქ წითელწყაროში საზაფხულო ბანაკში ფიზკულტურის მასწავლებლად ვმუშაობდი. წლების მანძილზე აქტიურად ვთანამშრომლობდი გაზეთებთან „ახალი შირაქი“ და „ლელო“, სადაც ხშირად ვაქვეყნებდი სტატიებს ჩვენს სპორტულ აქტივობებზე. ცოტა ხანს რაიონის სპორტკომიტეტშიც ვიმუშავე ინსტრუქტორად.

***- სპორტიდან მიწათმოწყობაში გადაინაცვლეთ, შემდეგ სოფლის გამგებლად, მერე კი ორჯერ საკრებულოში დეპუტატადაც აგირჩიეს...***

- შემდეგ კი 1993 წლიდან სასოფლო საკრებულოში მიწათმომწყობად დავიწყე მუშაობა. აქ 14 წელი გავატარე და ზუსტად ამ პერიოდს დაემთხვა მიწის სისტემური რეფორმა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებლობამოპოვებულმა ქვეყანამ ომისა და გაჭირვების გამო ბევრი რთული წელი გამოიარა. ამ დროს სახელმწიფომ გადაწყვიტა მოსახლეობისთვის მიწის ნაკვეთები გაენაწილებინა და მათთვის საარსებო წყარო მიეცა. ამიტომ, მთელი ჩემი სოფლის მიწები საკუთარი ხელით



1984 წ. არხილოსკალო, შეჯიბრი ფრენბურთში

ჯემალ ხუზაურაშვილი, ზურაბ ჩოხელი, ნოდარ ირიაული

მაქვს აზომილი და განაწილებული. ეს მონაცემები შენახულიც მაქვს, მაგრამ დღემდე ზეპირად მახსოვს ვისი ნაკვეთი სად მდებარეობს, ვინ ვის მეზობლადაა, რამდენი მეტრია სიგრძე, სიგანეში და ა.შ. ახლაც მოდიან და მეკითხებიან ხოლმე, თუკი ვინმეს ასეთი დეტალები აინტერესებს. პარალელურად, 2004 წლიდან, დედოფლისწყაროს საკრებულოში სოფელ არხილოსკალოს მაჟორიტარი დეპუტატი ვიყავი, 2007 წელს კი მაშინდელმა გამგებელმა გელა იაკობიშვილმა სოფლის გამგებლად დამნიშნა, სადაც 2012 წლის ბოლომდე ვიმუშავე და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ უმუშევრად დავრჩი. 5 წლის განმავლობაში არსად მიმუშავია, ამიტომ, ავტოგასამართ სადგურზე დავიწყე მუშაობა, რომ ოჯახი მერჩინა. 2017 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რომ მოდიოდა კენჭისყრას ვგეგმავდი. ეს გადაწყვეტილება უფრო გამიმყარდა, რადგან სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველა მთხოვდა არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა. ქუჩაშიც, სახლშიც ბევრი მაკითხავდა და მთავაზობდა დეპუტატობისთვის მებრძოლა. ყველა საჭირო დოკუმენტი მოვაგროვე და საოლქო საარჩევნო კომისიისთვის უნდა მიმემართა, ჯერ დამოუკიდებელ დეპუტატად დარეგისტრირებას ვაპირებდი. თუმცა, ამ პერიოდში „პატრიოტთა ალიანსიდან“ დამირეკეს და შემომთავაზეს კენჭი მათი პარტიის სახელით მეყარა. მალევე დავთანხმდი ამ შემოთავაზებას, რადგან ირმა ინაშვილი და დავით თარხანმოურავი ძალიან მომწონდა. ხშირად ვუყურებდი ტელეკომპანია „ობიექტივს“, მათი ხედვები ჩემთან ძალიან ახლოს იყო და ვიზიარებდი მათ პოზიციებს სხვადასხვა პატრიოტულ საკითხებთან დაკავშირებით. ზოგადად, ირმა ინაშვილის თამამი განცხადებები და მებრძოლი სული ძალიან მომწონდა. ამდენად საბოლოოდ, მათი სახელით ვიყარე კენჭი და სამთავრობო კანდიდატი დავით გიგაური დავამარცხე. მიუხედავად იმისა, რომ ისიც ადგილობრივი კანდრი იყო სოფელში არჩევნები 27 ხმით მოვუგე და როგორც ოპოზიციური კანდიდატი ასე შევედი საკრებულოში. სოფელმა ასე გადაწყვიტა. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ როგორც ოპოზიციონერს ასე არავინ მიყურებდა, მე ჩემი საქმე მქონდა, სოფლის ინტერესებს წარმოვადგენდი რაიონულ საკრებულოში. მაქსიმალურად ვცდილობდი ყველას გვერდით დავდგომოდი და მათი ხმა მიმეტანა რაიონის ხელისუფლებასთან. შემდეგ საკრებულოში შეიქმნა ფრაქცია „პატრიოტები“, რომლის თავმჯდომარედაც მე ამირჩიეს და ამან სახელფასო ანაზღაურებაც გაზარდა და მეტი უფლებამოსილებები მოგვანიჭა. ბევრ მნიშვნელოვან საკითხში ჩავერთე, იყო რამდენიმე პრობლემა, როცა მათ გვერდით ვიდექი.

***- ოპოზიციონერი კანდიდატის გამარჯვება ნიშნავს, რომ სოფელი მართლაც მხარს გიჭერთ. წინასწარ რამდენად დარწმუნებული იყავით, რომ სახელისუფლებო მხარდაჭერის გარეშე შეძლებდით არჩევნების მოგებას?***

- სიმართლე გითხრათ, არჩევნებში გამარჯვების იმედი ნამდვილად მქონდა. კენჭი სრულიად დამოუკიდებლად რომ მეყარა, მაინც არსებობდა გამარჯვების რეალური შანსი. თავდაჯერების და რწმენის საფუძველი მქონდა იმიტომ, რომ ჩემი მშობლიური სოფელი ნამდვილად ჩემს გვერდით იდგა და ეს ფარულმა კენჭისყრამაც დაადასტურა. მანამდე თანასოფლელების მხრიდან იმხელა ინტერესი ვიგრძენი, რომ აღარ მიფიქრია არჩევნებში არ ჩავრთულიყავი. სოფელში განწყობა რომ დავინახე და შევაფასე, ამიტომაც მოვაგდოვე საბუთები, რომ ცესკო-ში რეგისტრაცია გამევლო. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მე პარტიული არასოდეს ვყოფილვარ, არც მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს სოფლის რწმუნებულად ვიმუშავე და მანამდე საკრებულოს წევრი გავხდი და არც მერე, როცა მეორედ „პატრიოტთა ალიანსიდან“ გავიმარჯვე და საკრებულოში შევედი. უბრალოდ, ამ პოლიტიკური სუბიექტების დახმარებით შევძელი ჩემი სოფლისთვის სარგებელი მომეტანა, მათი დეპუტატი ვყოფილიყავი და შესაძლებლობის ფარგლებში დავხმარებოდი. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ისეთ საქმიანობას ვეწეოდი, როგორც ჩანს სოფელში ნდობა და პატივისცემა დავიმსახურე, ამას ყოველთვის ვგრძნობ....

***- დეპუტატობის შემდეგ დასაქმების პროგრამაში ჩაერთეთ და დღემდე ყველაზე აქტიურად ითვლებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში...***

- 2021 წლის ოქტომბერში თვითმმართველობის არჩევნების დროს ამომეწურა დეპუტატის ვადა და ისევ უმუშევრად დავრჩი. კორონავირუსის გამო საყოველთაო ჩაკეტილობა იყო, პაუზა პანდემიის დასრულების პერიოდს დაემთხვა. შემდეგ უკვე პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ძალიან საინტერესო ინიციატივა გააჟღერა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაქმების სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა. მე კი ქვედა სოფლებში დასაქმების პროგრამის ზონის კოორდინატორად დავინიშნე და თავდაპირველად სამი სოფელი მეხებოდა: ზემო ქედი, არხილოსკალო და სამთაწყარო, შემდეგ კი რაიონის მასშტაბით იმდენად ვიაქტიურეთ და მოწონება დავიმსახურეთ, რომ მალე კიდევ სამი სოფელი, ქვემო ქედი, ფიროსმანი და საბათლო დამიმატეს. ჯერ 87 ადამიანი მყავდა ზონაში, ახლა კი ექვსი სოფლიდან სულ 95 დასაქმებულია.

***- უკვე მერამდენე წელია დასაქმების პროგრამა მიმდინარეობს, რამდენად გაამართლა ამ მიდგომამ?***

- ნამდვილად გაამართლა. ამ ხნის მანძილზე სულ რამდენიმე თანამშრომელი გამომაკლდა, ისიც იმიტომ, რომ ერთი ოჯახი სამუშაოდ საზღვარგარეთწავიდა, ერთიც დედაქალაქში. დანარჩენები კმაყოფილები არიან და პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. საარსებო შემწეობის გარდა ისინი დამატებით ხელფასს იღებენ, ჩართულები არიან საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში. ვისაც დასაქმების სურვილი აქვს საკუთარი ნებით წერს განცხადებას და ჩაერთვება. ძალიან დროული, საჭირო და აუცილებელი პროგრამაა. დასაქმებულთა ეს ჯგუფები სოფლად ისეთ სამუშაოებს აწარმოებენ, რომლებიც დაახლოებით 40 წელია არ ჩატარებულა. რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ და საზღვრისპირა სოფლებში სასაფლაოების, ტროტუარებისა და სკვერების ამ ფორმით გაწმენდა აქამდე არ ხდებოდა, ახლა კი ძალიან ხშირად სუფთავდება. შედეგად ისეთი უძველესი საფლავები გამოჩნდა, რომლებიც მაყვლის ეკალ-ბარდებში იყო დამალული და მათი არსებობა არც უხუცესებს ახსოვდათ. რადგან ტერიტორიები გასუფთავდა, სასაფლაოებზე მიუვალი, ახალი ადგილები გამოჩნდა. ამ წლების განმავლობაში უამრავი სასარგებლო და საჭირო საქმე გავაკეთეთ, ინტენსიურად ვზრუნავთ ამ სოფლების სისუფთავესა და წესრიგზე. ალბათ ამიტომაც, გასულ წელს დედოფლისწყაროს მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დამაჯილდოვა როგორც ყველაზე აქტიური ზონის ხელმძღვანელი და მადლობის სიგელი გადმომცა. მინდა ვთქვა, რომ სხვა სოფლებთან შედარებით ჩემი ჯგუფები მართლაც ყველაზე აქტიურები არიან, შედეგი თვალშისაცემია და როგორც ჩანს მერმა ეს შენიშნა და გადაწყვიტა ყურადღება ამ ფორმით გამოეხატა. მე კი დაჯილდოვების დროსაც ვთქვი, რომ ეს მხოლოდ ჩემი ჯილდო არ არის და ის თითოეული იმ ადამიანის დამსახურებაა, რომელიც ჩემთან ერთად არის ჩართული და დარსა თუ ავდარში მუშაობს საკუთარი სოფლის კეთილდღეობისთვის. როგორც ჩანს ამას ხედავენ სოფლის მაცხოვრებლებიც და რაიონის ხელმძღვანელობაც.

ესაუბრა

***ილია მარტყოფლიშვილი***

# რაინჰოლდ მესნერი - ალპინიზმის ცოცხალი ლეგენდა

***ზღვის დონიდან 8000 მეტრ სიმაღლეზე ჰაერში ჟანგბადის კონცენტრაცია ჩვეულებრივ პირობებში არსებული ჟანგბადის მხოლოდ მესამედს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ორ ევროპელ მთამსვლელს - რაინჰოლდ მესნერსა და პიტერ ჰაბელერს იდეა გაუჩნდათ, მსოფლიოს უმაღლეს მთად მიჩნეული ევერესტი ჟანგბადის ბალონის გარეშე დაეპყროთ. 1978 წლის 8 მაისს გზას გაუდგნენ... ყოველ 4 მეტრში თოვლში ეფლობოდნენ, სუნთქვა ძალიან უჭირდათ, მაგრამ, დღის 2 საათზე, მიზანს მიაღწიეს, მათ ევერესტი არა მხოლოდ დაიპყრეს, არამედ, მასზე ჟანგბადის ბალონების გარეშე ასვლა შესძლეს.***

იტალიელი მთამსვლელი, რაინჰოლდ მესნერი, ალპინიზმის ცოცხალი ლეგენდაა! მესნერი პირველია, ვინც 8000-იან მწვერვალებში გაერთიანებული ყველა მთა (ასეთი სულ 14 მწვერვალია, რომელთაგან 10 ჰიმალაიზე, ხოლო 4 - ყარაყორუმზე მდებარეობს) დალაშქრა და ამავდროულად, პირველი, ვინც ეს მარტომ მოახერხა.

მან შემოიღო ჩქაროსნული, ერთპიროვნული ასვლები ჯერ დოლომიტის ალპებზე, შემდეგ კი, მონბლანის რაიონში. რეკორდული ასვლები დააფიქსირა აკონკაგუას სამხრეთ კედელზე, ბრიჩ უოლზე კილიმანჯაროზე, მაკ კინლის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე...

იგი პირველია, ვინც მარტომ გადაკვეთა ანტარქტიდა, გრენლანდია და გობის უდაბნო.

როგორი მარტივია ასე ჩამოსათვლელად ეს მიღწევები, არადა, თითოეული ექსპედიცია სიკვდილ-სიცოცხლის, თავისუფლების, სიდიადის და ადამიანის უკიდეგანო შესაძლებლობების მძაფრი შეგრძნებებით გავლილი ურთულესი მარშრუტებია.

ერთ-ერთი მწვერვალი, ტიბეტში მდებარე შიშასბანგმა, მესნერმა 1981 წელს დაიპყრო. მის კარიერაში ეს რიგით მეექვსე დაპყრობილი მწვერვალი იყო. ცხოვრებაში უკვე ბევრი რამის მნახველი, მათ შორის დაუვიწყარი გამარჯვებების მომპოვებელი თუ სიკვდილისთვის თვალებში ჩახედილი მესნერი ავტობიოგრაფიულ წიგნში წერს, რომ მხოლოდ შიშასბანგმას მწვერვალზე იგრძნო ის, რამაც უდიდესი სიამოვნება მიანიჭა; სწორედ იქ მიხვდა, რომ უსასრულო, ულამაზესი და გასაოცარი სამყაროს უმცირესი ნაწილაკი იყო; სწორედ ამის გააზრებამ უბედნიერეს ადამიანად აქცია; სწორედ ამ განცდის დაუფლების გამო, შიშასბანგმას მწვერვალი განსაკუთრებულად საყვარელი გახადა რაინჰოლდ მესნერისათვის.

ალპინიზმი მთამსვლელებს მართლაც რომ განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით ალავსებს და როგორი ხელგაშლილობაა, რომ ბევრ მათგანს განცდილი ემოციების გაზიარების სურვილი უჩნდება. არ მოიძებნება სპორტის სხვა სახეობა, რომელშიც სპორტსმენებს იმდენი დღიური დაეწეროთ, რამდენიც ალპინისტებს.

განცდილი ემოციების გაზიარების სურვილს რომ დავუბრუნდეთ, 1336 წელს, იტალიელი ჰუმანისტი მწერალი, ფრანჩესკო პეტრარკა საფრანგეთის პროვანსის რეგიონში მდებარე ვენტუქსის მთაზე ავიდა და თავისი ამ მოგზაურობის შესახებ თხზულება „ასვლა ვენტუქსის მთაზე“ დაგვიტოვა. პეტრარკა ალპინიზმის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ XIV საუკუნეში მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ლაშქრობისას გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ერთი ნაბიჯით გვაახლოებს საკუთარ თავთან, რასაც, საბოლოოდ, საკუთარი პიროვნების შეცნობისკენ მივყავართ.

XX საუკუნის 80-იან წლებში ჯერაც დაულაშქრავი და „შეუბღალავი“ რჩებოდა ტიბეტში მდებარე იდუმალებით მოცული კიდევ ერთი მთა კაილასი (6,638 მ.). ადგილობრივი მოსახლეობა კაილასს საკრალურ ადგილად თვლიდა და მასზე ასვლის ლიცენზიას არც ერთ მთამსვლელზე გასცემდა. უნდა აღვნიშნო, რომ კაილასი ინდუიზმში, ბონში, ბუდიზმსა და ჯაინიზმში წმინდა მთადაა მიჩნეული.

თოთხმეტივე 8000-ის მაშინ უკვე დამპყრობელმა რაინჰოლდ მესნერმა, გავლენიანი სანაცნობოს წყალობით, კაილასის მთაზე ასვლის ლიცენზია მოიპოვა - ის მეგობრობდა ბჰუტანის მეფის შვეიცარიელ პირად ექიმთან, რომელიც ერთ-ერთ ჩინელ მინისტრს გამოჯანმრთელებაში დაეხმარა. მინისტრი ექიმს გადარჩენის სანაცვლოდ ერთი სურვილის შესრულებას დაჰპირდა, მან კი, მესნერისთვის კაილასზე ასვლის ნებართვა ითხოვა. მოკლედ, მესნერი ტიბეტში ჩავიდა და მთაზე ასვლის მოსამზადებელ სამუშაოებს შეუდგა, მათ შორის მწვერვალის შესახებ უფრო მეტის გასაგებად, იქაურ მოსახლეობას შეხვდა. მათგან შეიტყო, რომ ეს ის მთაა, სადაც ადგილობრივი ბუდისტი სწავლულები მზის სხივივით ამაღლდნენ... უცნობია საუბრის სხვა დეტალები, თუმცა, ამ შეხვედრის შემდეგ, მესნერმა განზრახვაზე ხელი აიღო. მან განაცხადა, რომ ის მთის სიწმინდეს არ შეურაცხყოფდა და კაილასი ხელშეუხებელი დარჩებოდა. ასეთი საქციელი რაინჰოლდ მესნერზე განუზომლად ბევრს მეტყველებს.

არის ასეთი ამბავიც: მოგეხსენებათ, ალპინისტები დაპყრობილ მწვერვალზე ეროვნულ დროშას აღმართავენ ხოლმე... რაინჰოლდ მესნერმა კი, თავის დროზე განაცხადა, რომ მწვერვალებს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ლაშქრავს



და არა საკუთარი ქვეყნის პოპულარიზებისა თუ ეროვნული ღირსების ასამაღლებლად. ამიტომაც, მწვერვალზე ასვლის დროს, იტალიის დროშის ნაცვლად, მესნერი საკუთარ ცხვირსახოცს, ანუ როგორც თავად უწოდებს, „პიროვნულ დროშას“ აფრიალებდა...

**რას ვიზამთ, რაც არ ეპატიება ხარს, ეპატიება რაინჰოლდ მესნერს!**

მესტიის ფესტივალზე რაინჰოლდ მესნერს სპეციალური პრიზი გადასცეს - იტალიაში, დოლომიტების მწვერვალის, სუ-ალტოს დალაშქვრისას, მოულოდნელი ქვების ცვენამ, მიხეილ ხერგიანის თოკი გადაჭრა... სწორედ ამ გადაჭრილი თოკის ნაწილი უსახსოვრეს მესნერს.

**მოამზადა**
**ელზა ხარაშვილმა**

# ორიოდე სიტყვა დემოკრატიაზე
## ანუ თანასწორობა თანშობილი მიდრეკილება არ არის

***დემოკრატიული იდეალების დამკვიდრება არა მხოლოდ შემართებას, არამედ გონიერებასაც მოითხოვს. ამიტომ არის საჭირო იმ ძალთა გაანალიზება, რომლებზეც დამოკიდებულია დემოკრატიის წარმატება, რადგან სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობენ ადამიანები, რომელთა ქცევა გარკვეული მოტივებით არის განპირობებული, ფსიქოლოგიამ უნდა გარკვიოს რა მოტივები უდევს საფუძვლად ხალხის სურვილს აშენონ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები და ამ გზაზე რა ფსიქოლოგიურ მომენტებს აწყდებიან.***

ისტორიის ზედაპირული ცოდნაც საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დემოკრატიისათვის მებრძოლთა მოტივაციაში ამბოხი დესპოტიზმის წინააღმდეგ. მოწოდებები „ძირს ტირანია!“, „თავისუფლება ან სიკვდილი!“ მიმზიდველად ჟღერდა და ეს სავსებით გასაგებია. გასაგებია ისიც, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სოლიდარობას სძენს ჯგუფს; ანტაგონიზმს, რომელიც, ჩვეულებრივ, ყოველ ჯგუფში არსებობს; საერთო მტერზე წარმართავს და ჯგუფის წევრებს აწვდის რაციონალურ მოტივს გააერთიანონ ძალისხმევა საერთო მიზნის მისაღწევად. ცნობილია ისიც, რომ საერთო მტერთან საბრძოლველად გაერთიანების ამოცანა ყოველთვის არ კმარა იმისათვის, რომ ერთობლივი მოქმედება შესაძლებელი გახადოს. მოტივი, რომელმაც დროის გარკვეულ მომენტში ხალხი გააერთიანა დესპოტიასთან საბრძოლველად, გამარჯვების შემდეგ კარგავს ქმედუნარიანობას. არის იმის საშიშროებაც, რომ მეამბოხე ძალებიდან რომელიმე ლიდერი დესპოტის ადგილის დაკავებას მოისურვებს ან ძალაუფლებისათვის ბრძოლა იმდენად დაანაწევრებს ჯგუფს, რომ ძალთა გაერთიანება შემდგომში შეუძლებელი გახდება.

დემოკრატია, პირველ ყოვლისა, ადამიანისაგან თვითშეზღუდვას მოითხოვს. თუ ადამიანები აპირებენ დემოკრატიული წესებით ცხოვრებას, მათ უნდა შეძლონ არა მარტო სხვათა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ დაემორჩილონ კანონის ძალმოსილებას, რომელიც თვითონ მიიღეს და იმ ხალხს, რომელებიც ამ კანონთა გასატარებლად თვითონვე აირჩიეს. ადამიანთა ეფექტური თანამშრომლობისათვის აუცილებელი ორმხრივი ნდობა რომ არსებობდეს, საჭიროა არა მხოლოდ ის, რომ ჯგუფის წევრები ფხიზლად იყვნენ და წინ აღუდგნენ ძალაუფლების უზურპაციას, არამედ ისიც, რომ თვითონაც, თავისი ნებით თქვან უარი სხვის მიმართ თვითნებობის სურვილზე. აქ იბადება კითხვა - საზოგადოებრივი ინტერესებიდან მომდინარე ეს ნებაყოფლითი თძვითშეზღუდვა როგორ არის შესაძლებელი. ცხადია, ეს უნარი უცბად არ შეიძინება, ამას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ჯგუფის მოქმედების შესახებ კლასიკური ექსპერიმენტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ის არის, რომ თუ ჯგუფი მიეჩვევა ავტოკრატიულ რეჟიმში მოქმედებას, შემდგომში მას საკმაო დრო სჭირდება დემოკრატულ სტილზე გადასვლისათვის, ხოლო ადრე დემოკრატიული სტილით მოქმედი ჯგუფი ავტოკრატულ ატმოსფეროს გაცილებით სწრაფად ეგუება.

ცოტა ვინმე თუ ფიქრობს, რომ თანასწორობა თანშობილი მიდრეკილებაა. რეალობა უფრო საპირისპიროს ადასტურებს. ბავშვის ეჭვიანობა და-ძმის მიმართ, რომლებიც მშობლების სიყვარულში ეცილებიან მას, კონკურენციისა და დომინანტობის დაუფარავი გამოვლინება ყოველგვარ სოციალურ ინსტიტუტებში არავისათვის შემჩნეველი არ რჩება. სწორედ ამიტომ არსებობს თვალსაზრისი, რომ დემოკრატიული იდეალი ე.წ. „რეაქტიული წარმონაქმნია“. რეაქტიული წარმონაქმნი საკმაოდ რთული ფენომენია. ეს არის დაცვითი მექანიზმი, რომლითაც პიროვნებას არაცნობიერად მოცემული მიუღებელი განწყობის ნაცვლად სოციალურად და პიროვნულად მისაღები განწყობა უყალიბდება. ანუ ზედაპირზე, ქცევაში ვლინდება ზუსტად იმის საპირისპირო, რაც არის სიღმეში, არაცნობიერ ფსიქიკურში. მშიშარა ადამიანი შეიძლება წარმოდგეს როგორც არაჩვეულებრივად მამაცი, ძუნწი-როგორც გულუხვი, სასტიკი-როგორც ლმობიერი და სხვა, რეაქტიული წარმონაქმნის ამოცნობა შესაძლებელია, იმით, რომ იგი ყოველთვის ზედმეტად ხაზგასმული და დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს. მოკლედ, დემოკრატიული იდეალი რეაქტიული წარმონაქმნია თანამოძმეზე მიმართულ იმ გავრცელებულ მოტივთა წინააღმდეგ, როგორიც არის აგრესია, კონკურენცია, შური და მტრობა. ადამიანთა თანასწორობის დოქტრინაში, რომელიც დემოკრატიის მამებმა შეიმუშავეს, იგულისხმებოდა არა მარტო პროტესტი სხვათა არისტოკრატიული პრეტენზიების მიმართ, არამედ უარის თქმაც საკუთარ უპირატესობაზე სხვათა წინაშე. ამიტომ არის რომ, ლიდერი და ის ვინც ლიდერობას ესწრაფვის, საგანგებოდ ზრუნავს იმაზე, რომ არავის მოეჩვენოს, რომ მას თავი სხვაზე უკეთესი ჰგონია.

უთანასწორობაზე ამგვარი რეაქტიული წარმონაქმნის საფუძვლად უსაფრთხოებისა და სოლიდარობის მოთხოვნილებებია ნავარაუდევი. დაახლოებით ასეთსავე რამეს ვხვდებით ბავშვობაში, სადაც ისევე, როგორც დემოკრატიული ერთობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანასწორობას იდეას. დედ-მამას რომელიმე შვილი არ უნდა უყვარდეს სხვაზე მეტად. შვილების გარჩევა დაუშვებელია. ბავშვიც უარს ამბობს სურვილზე, უპირატესობა იქონიოს თავის და-ძმასთან შედარებით იმ პირობით, რომ და-ძმაც დაჯერდება მშობელთა თანაბარ სიყვარულს, რომელიც მისი ემოციური წონასწორობის, უსაფრთხოების საფუძველია. რაც შეეხება სოლიდარობას, კარგა ხნის წინათ ფროიდი ამტკიცებდა, რომ ის, რაც კრავს ისეთ დიდად ინტეგრირებულ ჯგუფებს, როგორიც არის ეკლესია და არმია-ეს არის ჯგუფის წევრთა საერთო ერთგულება ლიდერებისადმი და თითოეული წევრის რწმენა, რომ ლიდერი ყოველ მათგანს ერთნაირად ეპყრობა. ასეთ ვითარებაში იქმნება იდენტიფიკაციაზე დამყარებული ძლიერი კავშირები-ჯგუფის წევრებს შორის ერთის მხრივ და ჯგუფის წევრებსა და ლიდერს შორის-მეორეს მხრივ. სწორედ ლიდერის მიმართ ერთგულება არის ჯგუფის სოლიდარობის პირობა. მაგრამ თუ ჰგუფს ლიდერის მიმართ რწმენა შეერყა ან თუ იგი არაერთნაირად მოეკიდა წევრებს-ჯგუფის დაშლა გარდუვალია.

ფროიდის ეს ანალიზი უკეთ ესადაგება ავტორიტეტული, არადემოკრატიული ტიპის ლიდერს, ხოლო დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათბელია ტენდეცია წინააღმდეგობა გაუწიოს ან ეჭვის ქვეშ დააყენოს ნებისმიერი ლიდერი, რომელიც ზედმეტ დომინანტობას ეცდება. ლიდერს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ არჩეულია ჯგუფის მიერ და მისი ძალმოსილება მხოლოდ ამ ფაქტიდან მომდინარეობს. დემოკრატიის დინამიკური წონასწორობის წერტილი სწორედ აქ, ლიდერის აღიარების პუნქტზე გაივლის. ცხადია, რომ ლიდერს გამორჩეული პოზიცია უჭირავს და გარკვეული აზრით ეს უთანასწორობის გამოვლინებაა. თუ ამ უთანასწორობაზე რეაქცია გადაჭარბებულია, ეს გარკვეულ სიძნელეებს შეუქმნის ლიდერს, შეზღუდავს მის ეფექტურ მოქმედებას ჯგუფის სასიკეთოდ. ასეთივე საშიშია „დაქვეითებული რეაქცია“, ლიდერისადმი მთელი პასუხისმგებლობის გადაბარება. უნდა ითქვას ისიც, რომ თუმცა საზოგადოების წევრებს მოეთხოვებათ უარის თქმა იმ კომფორტზე, რასაც იძლევა ფიქრი, რომ „კეთილი მამა ზრუნავს ჩვენს ინტერესებზე“, ძლიერ ლიდერზე უარის თქმა ჯგუფის სოლიდარობას ნიადაგს აცლის და ახლა უკვე საძიებელი ხდება სხვა პრინციპები, რომლებიც ჯგუფის წევრებს თანამშრომლობისათვის გააერთიანებენ. ფროიდმა ივარაუდა, რომ ამგვარი საერთო გამაერთიანებელი პრინციპი შეიძლება იდეისადმი ერთგულება იყოს. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი საერთო და გამაერთიანებელი იდეა საკუთრივ დემოკრატიისადმი სიყვარული იყოს.

**მოკლედ, დემოკრატია საკმაოდ ფაქიზ ფსიქოდინამიკურ წონასწორობაზე არის დამოკიდებული. ერთის მხრივ დემოკრატიის არსი სწორედ ის არის, რომ იგი გულისხმობს ჯგუფის წევრთა შორის კონკურენტული ბრძოლის უკიდურეს ფორმებზე უარის თქმას, რათა ძალმომრეობა არავის ემუქრებოდეს. აუცილებელია ყველამ ცალკცალკე უარი თქვას ძალმომრეობაზე, შეზღუდოს საკუთარი თავი. მაგრამ ამ თვითშეზღუდვამ არ უნდა დათრგუნოს საზოგადოების წევრთა თვითდამკვიდრების იმპულსები, ინიციატივა. ამაშია მთავარი ფსიქოლოგიური სიძნელე და აქედან გასაგებია, თუ რატომ სჭირდება დიდი დრო და ძალისხმევა დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას და დემოკრატიული პრინციპებით ცხოვრებას.**

***ბესიკ გიგოლაშვილი***
*ფსიქოლოგი*




**გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1959 WELI

● ARBOSIKIS KOLMEURNEOBIS MEMINDVREOBIS BRIGADEBMA SAXELMWIFOS CAABARES MESAME GAMOKVEBIS ABRESUMIS PARKI. A. OTARASVILIS XELMZRVANELOBIT MOMVLELEBMA I. JAMALASVILISA DA D. KOTASVILIS KARGI MUSAOBIT, 19 GRAMI MURIDAN MIIRES 51 KG PARKI, GEGMIURI 25 KILOGRAMIS NACVLAD. XOLO, I. BIKASVILIS BRIGADASI MEABRESUMEEBMA N. GONASVILMA DA M. CUXTIASVILMA MIIRES 62 KG. MESAMED GAMOYVANIL ABRESUMIS PARKS AM DREEBSI GAABAREBEN AGRETVE WITELWYAROS, ZEMO QEDIS DA QVEMO QEDIS KOLMEURNEOBEBI.

● WINA TVEEBSI CVENI GAZETI MKACRAD AKRITIKEBDA WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAS IMAZE, ROM PURIS SACXOBI UXARISXO GAMOMCXVAR PURS USVEBS, RISTVISAC MOSAXLEOBA KANONIER UKMAYOFILEBAS GAMOTQVAMS. RAMDENIME FELETONI DAIBEWDA, PASUXAD KI RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBIS TAVMJDOMARE AMXANAGI LORTQIFANIZE GVATYOBINEBS, ROM GAMGEOBIS SXDOMAM GAZETSI MOYVANILI FAQTEBI DADASTUREBULAD SCNO DA SACXOBIS GAMGES S. ROBITASVILS AUKRZALA PURIS GAMOCXOBA FORMEBSI. MATVE DAEVALAT AXALI, KVALIFICIURI KADREBI AMUSAON SACXOBSI DA ARAR DAUSVAN UXARISXO PURIS REALIZACIA. AGRETVE MIIRES ZOMEBI, PURIS SACXOBIS BINIS REMONTIS CATAREBISTVIS.

● ZEMO MACXAANIS SAKOLMEURNEO KULTSAXLTAN ARSEBULI LITERATURISA DA WADRAKIS WREEBI ERTGVAR MUSAOBAS ATAREBEN, XOLO SUSTAD MUSAOBS FIZKULTURIS SEQCIA. MISTVIS GAMOYOFILIA FARTO DA SESAFERISI OTAXI, MAGRAM IQ ARAFERI KETDEBA DA OTAXI MARTO INVENTARIS SAWYOBAD GADAQCEULA. KLUBSI SISTEMATIURAD UCVENEBEN FILMEBS, MAGRAM AM SAQMESIC SEVAMCNIET NAKLOVANEBEBI. BILETEBIS SALAROSTAN XSIRADAA AURZAURI, ADGILI AQVS LENTEBIS GAWYVETAS, SEANSEBIS DROS KI DARBAZSI XMAURIA. MACXAANELEBS XSIRAD AR UCVENEBEN FILMEBS MOYOLIL JURNALEBS. DAUYOVNEBLIV SAWIROA KULTSAXLIS XELMZRVANELOBA AAMOQMEDOS WREEBI DA DAAMYAROS WESRIGI KINOSEANSEBIS MSVLELOBIS DROS.

● SACAA ZAMTARI MOGVIAXLOVDEBA DA SAXANZRO RAZMMA WITELWYAROSI RUMELEBIS GAMARTULOBIS SAQME GAMOIKVLIA. SEMOWMEBAM GVICVENA, ROM BEVRGAN INDIVIDUALUR BINEBSI DA SAERTO SACXOVREBLEBSI UKVE EQSPLOATACIASIA SESULI DROEBITI RUMELEBI DA TITQMIS YVELGAN UXESADAA DARRVEULI SAXANZRO USAFRTXOEBIS WESEBI. GASULI WLIS PRAQTIKA KI GVICVENEBS, ROM WITELWYAROSI MOMXDARI XANZREBIS 90% GAMOWVEULI IYO RUMELIS ARAWESIERI ANTEBIS SEDEGAD. AMITOM, KATEGORIULAD GEKRZALEBAT, ROGORC WARMOEBA-DAWESEBULEBEBSI, ISE KERZO INDIVIDUALUR BINEBSI RUMELIT SARGEBLOBA SAXANZRO RAZMIS NEBARTVISA DA KONTROLIS GARESE. RUMELIS XMAREBAMDE AUCILEBELIA GAIWMINDOS SAKVAMLE MILEBI DA BUXREBI, SEILESOS SXVENI. SXVENSI KI SASTIKAD UNDA AVKRZALOT TIVIS, NAMJIS DA SIMINDIS QECECIS SENAXVA.

● QVEMO QEDSI DIDI XANIA DAMTAVRDA SENOBIS MSENEBLOBA DA SIGAKETILMOWYOBIS SAMUSAOEBI, ROMELIC GANKUTVNILIA AFTIAQISTVISA DA SASOFLO AMBULATORIISTVIS. MAGRAM ADGILOBRIVEBIS DIDI SURVILIS MIUXEDAVAD, MISI EQSPLOATACIASI GADACEMA SEUWYNAREBLAD WIANURDEBA IMIS GAMO, ROM KAREBEBI AR ARIS CAMOBMULI. ES KI UKMAYOFILEBAS IWVEVS MEDICINIS MUSAKTA DA MSROMEL MOSAXLEOBAS SORIS. SAMUSAOEBS WITELWYAROS SAKOLMEURNEOBATSORISO SAMSENEBLO SABWO AWARMOEBS. SAWIROA MAT YVELA GADAMWRELI ZOMA MIIRON, ROM DROULAD GAESVAS EQSPLOATACIASI.

## 1973 WELI

● IZRDEBA WITELWYARO, YOVELDRIURAD ATASOBIT MSUBUQI DA SATVIRTO MANQANA MOZRAOBS QALAQ WITELWYAROSA DA MIS IRGVLIV MDEBARE SOFLEBIS GZEBZE. MANQANEBIS ASETI SIMRAVLE IWVEVS IMIS SAWIROEBAS ROM QUCEBI GAGANIVRDES, DAIGOS TROTUAREBI FEXIT MOSIARULETATVIS. AGRETVE, ZOGIERT MOSAXVEVSI GZA ISE MOWESRIGDES, ROM MZROLMA SAPIRISPIROD MOMAVALI AVTOMANQANA DROULAD SENISNOS. WITELWYARODAN SOFEL JAFARIZESTAN CASAXVEVI GZIS KUTXESI, SADAC MWVANE NARGAVEBIA GASENEBULI, ISETI MKVETRI MOSAXVEVIA, SANAM MANQANAS AR SEECEXEBA MZROLI, VER SENISNAVS. SWORED AMIS GAMO, AM MOKLE DROSI, OTXI XUTI AVTO-SEMTXVEVA MOXDA. AM PARKSI KUTXES TU CAMOVWRIT, MKVETRI KUTXE ARAR IQNEBA. SEIZLEBA AMAN ERTI ORI XE IMSXVERPLOS, MAGRAM SAMAGIEROD AVTOSEMTXVEVEBISGAN DAVEZRVEVIT AMIT DIDI SAQME GAKETDEBA.

● ZEMO MACXAANSI AM RAMDENIME WLIS WIN CXOVROBDA SESANISNAVI SPECIALISTI RDIOTEQNIKI VANIA YOCIASVILI, MAGRAM BRMA SEMTXVEVAM IMSXVERPLA ES SROMISMOYVARE KACI. MAS SEMDEG MACXAANSI DA MIRZAANSI RADIOS YURADREBAS ARAVIN AR AQCEVS. MANAMDE DRESASWAULEBZE TU GAAXSENDEBODA VISME DA AALAPARAKEBDNEN DADUMEBUL RADIOS. BOLO XANIA KI MTLIANAD DAMUNJDA. XMAS AR AMOVIREBDIT, MIS ARDGENAZE VINME ROM FIQROBDES. QUCEBSI DADGMUL RADIOREPRODUQTOREBSI KI MERCXLEBMA SAIMEDO BUDE GAIKETES, SAKITXAVIA, RATOM AR EQCEVA AM SAQMES JEROVANI YURADREBA? RASI GVARGIA DADUMEBULI RADIO?

● AMASWINAT, WOETIS, ANU XORNABUJIS CIXIS MIDAMOEBSI SAGANGEBOD GAKETEBUL TYE-PARKSI `MOSAVLIS AREBIS DRE~ GAIMARTA. MISI ORGANIZEBA DAEVALAT ANZOR JALIASVILS, JUMBER UTRUTASVILS DA ANZOR MAZRARASVILS. MOMZADEBA-GANXORCIELEBA KI RAIONIS KULTSAMSAXURS. REJISORMA KARGAD GAARTVA TAVI DA SESANISNAVAD SEUXAMAXA-LXURI DA VOKALUR-INSTRUMENTULI SIMREREBI, TEATRALURI DADGMEBI DA LEQSEBI. MAGRAM MAYUREBELS MSVENIVRAD MOMZADEBULI RONISZIEBIS ARQMAS UKARGAVDA DABALI SCENA, RIS GAMOC XILVADOBA WIRDA. ES SAMOMAVLOD AUCILEBLAD GASATVALISWINEBELIA. GVINDA ISIC ARVNISNOT, ROM CIXE-SIMAGRE XORNABUJIS SAEQSKURSIO MARSRUTEBSI SETANA RAIONIS BUNEBRIV SIMDIDRE-SILAMAZETA SAYOVELTAO GACNOBA-DAFASEBAS DIDAD SEUWYOBS XELS DA MET STIMULS MISCEMS WITELWYAROS KULTURUL CXOVREBAS.

● ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBIS DIDNAURIS TERITORIAZE WLEBIS MANZILZE MUSAOBS SAWYOBIS GAMGE GOGIA TOKLIKISVILI. AR GEGONOT, ROM IQ MXVNEL-MTESVELEBTAN ERTAD TOXIT XELSI OFLSA RVRIDES. ARA! ES JAN-RONIT SAVSE AXALGAZRDA TBILADGILZE, SAWYOBSIA MOKALATEBULI, MASVE ABARIA MEQANIZATOREBISTVIS DA MINDVRIS MSROMELEBISTVIS GASACEMI SAKVEBI. PRODUQTIS GANAWILEBISAS KI XSIRAD TVITNEBOBAS ICENS. AMASWINAT MEQANIZATOREBI MSIERI DATOVA, WVIMIANI DREA DA AR GIMUSAVNIATO. IS SXVA UMSGAVSO SAQCIELSIC ARIS SEMCNEULI. AMASWINAT, ZEMO MACXAANIS SINMOUSVLELTA SAXL-MUZEUMIS BARSI TAVIS ZMASTAN DA SXVA AMFSONEBTAN ERTAD UZOMOD MTVRALMA CXUBI ATEXA DA AM WMINDATAWMINDA ADGILZE FIZIKURI SEURACXYOFA MIAYENA KOMKAVSIREL MEQANIZATORS GELA PAPACASVILS, ROMELIC MZIMED DASAVEBULI SAAVADMYOFOSI IWVA. BOROTI ENEBI GOGIAZE KIDEV BEVR RAMES AMBOBEN, IS SAKOLMEURNEO QONEBIS XELYOFASIC ARIS SEMCNEULI. AMASWINAT REDAQCIASI CITMA ERTI SAIDUMLOC GVAMCNO. TOKLIKISVILI KOLMEURNEOBIS CXVREBIT XELS ITBOBS, BAZARZE DIDI RAODENOBIT CXVARS HYIDIS DA DID FULS IJIBAVSO. MODIT, NU DAVUJEREBT BOROT XMEBS DA ES SAQME GAMGEOBAM DA PARTIULMA ORGANIZACIAM GAARCION.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**

ილია მარტყოფლიშვილმა

# არჩევნები, რომელმაც შესაძლოა, პლანეტის ბედი შეცვალოს

„აშშ-ის პრეზიდენტობის ფერადკანიანი კანდიდატის მდგომარეობა უპრეცედენტოა - დღემდე აშშ-ის ისტორიაში არავის დაუწყია საპრეზიდენტო კამპანია ასე გვიან, როგორც მან დაიწყო", - წერს ბრიტანული ჟურნალი „ეკონომისტი" სტატიაში სათაურით - „კამალა ჰარისს ქარიზმა და დრო არ ჰყოფნის". „დიდი რისკია, რომ მან ტრამპთან დებატებში მარცხი იწვნიოს, თუმცა პროკურორობის გამოცდილება შეიძლება წარმატების მიღწევაში დაეხმაროს", - აღნიშნულია მასალაში.

აშშ-ში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი რომ გახდე, ამისათვის ორი წესი არსებობს: პირველი - უნდა იყო „შინაური და ჩვენიანი კაცი" - პარტიისათვის, უნდა დაჯაბნო ოპონენტ-მეტოქეები და ამ მიზნით უნდა ისარგებლო რაღაც, განმასხვავებელი მდგომარეობით - შენი გახმაურებული გვარით, ბიოგრაფიული მომენტებით, სოციალური თუ ეთნიკური მდგომარეობით, თანამდებობით და გავლენიანი მფარველებით (გავიხსენოთ ჯორჯ ბუში და ჯო ბაიდენი, რომლებმაც სწორედ ზოგიერთი ამ გარემოებით ისარგებლეს); მეორე - როგორც თავდაპირველმა აუტსაიდერმა, უნდა გაიმარჯვო მხოლოდ ქარიზმით და „შიშველი თავხედობით" (ასეთი გზით ისარგებლეს ბარაკ ობამამ და დონალდ ტრამპმა).

კამალა ჰარისი, რომელიც დღეს, ჯო ბაიდენის უარის შემდეგ, დემოკრატიული პარტიის აშკარა ფავორიტს წარმოადგენს, პრეზიდენტობის კანდიდატის ამპლუაში, პირველ ბანაკს მიეკუთვნება. მისი პერსპექტივა რომ უკეთ გავიგოთ, დავიწყოთ მთავარი მომენტით: ჰარისი მის მიერვე შექმნილი სისტემის წარმომადგენელია, იგი არც იდეოლოგი არის და არც წინასწარმეტყველი. აშშ-ის ამჟამინდელი ვიცეპრეზიდენტი პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა კალიფორნიული პოლიტიკის გავლენის შედეგად - იმ პოლიტიკისა, რომელიც სხვა შტატებისათვის უჩვეულოა, ცვალებადი და ორიენტირებულია მომავალზე. როცა 1990-იან წლებში კამალა ჰარისმა პოლიტიკური მოწიფულობის ასაკს მიაღწია, რესპუბლიკური პარტია კალიფორნიის შტატში ჯერ კიდევ ძლიერი და გავლენიანი იყო, მაგრამ, მუშაობდა რა ადგილობრივ პროკურორად ოკლენდში, კამალა ჰარისი უფრო ხშირად ხვდებოდა დემოკრატიული პარტიის ცნობილ წარმომადგენელს - უილი ბრაუნს, რომელიც შიდაპარტიულ პრობლემებს არეგულირებდა ხოლმე და მეტსახელიც შესაბამისი ჰქონდა - „საქმის გამრჩევი". უილ ბრაუნი მასზე 30 წლით უფროსი იყო და გამოცდილი, ამიტომ დახმარება გაუწია პოლიტიკურ კარიერაში. მოგვიანებით კამალა ჰარისმა უკვე თვითონ შეძლო შტატის გენპროკურორის თანამდებობის დაკავება, მაგრამ დემოკრატიული პარტიისაკენ ლტოლვა შეინარჩუნა. იგი გამოდიოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ... კრიტიკოსებმა კამალა ჰარისი ამბიციურ ოპორტუნისტად მონათლეს და აღნიშნავდნენ, რომ კამალა ჰარისს რაიმე, მკაფიო პოლიტიკური იდეები და რწმენა არ გააჩნდა. მოგვიანებით ამ გარემოებამ მას უარყოფითი სახე შესძინა და ცხოვრებაში დიდხანს გაჰყვა.

თუმცა, კამალა ჰარისის ბიოგრაფიაში და კარიერაში საკმაოდ არის ისეთი მომგებიანი და სასარგებლო მომენტები, რომელთა შედეგად იგი ამერიკელებისთვის იმედისმომცემ და სანდო პოლიტიკოსად გადაიქცევა: კამალა იმიგრანტების შვილია, დედამისი (აწ გარდაცვლილი) ინდოეთშია დაბადებული და ამერიკაში ენდოკრინოლოგად მუშაობდა. მამამისი ეკონომისტია, წარმოშობით კუნძულ იამაიკიდან. ორივე მშობელი სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი იყო და ერთმანეთი ბერკლის უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიცნეს, 1960-იანი წლების დასაწყისში. რომელიმე სხვა პოლიტიკოსს რომ ასეთი მშობლები ჰყოლოდა, იგი სწრაფად შეთხზავდა დიდებულ ისტორიას და მასმედიაში ნათელ პიროვნებად გადაიქცეოდა, კამალა ჰარისს კი დრო დასჭირდა ეროვნულ არენაზე გამოსასვლელად. თუ იგი დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, აგვისტოში, ოფიციალურად მიიღებს პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსს, უნდა ველოდოთ, რომ მოხდება მისი ბიოგრაფიული მომენტების ემოციური გადატვირთვა, ჰოლივუდურ სტილში, ყველა მიღწევის წარმოსაჩენად - როგორც აზიური წარმოშობის მქონე ფერადკანიანი ქალისათვის, რომელიც ბარიერებს ანგრევს.

რამდენად წარმატებული იქნება კამალა ჰარისის კამპანია ტრამპის წინააღმდეგ, როცა მან გვიანი სტარტი აიღო დემოკრატიულ პარტიაში არსებული ქაოსის ფონზე? რასაკვირველია, თავისი ენერგიისა და ასაკის წყალობით (იგი 59 წლისაა) უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე 81 წლის ჯო ბაიდენი, მაგრამ ეს ნაკლებმნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. როცა 2017 წელს დემოკრატი კამალა სენატორი გახდა და ვაშინგტონში დამკვიდრდა, იგი უფრო გაწაფდა დებატებში და მოსმენებში - თანაც იმდენად კარგად, რომ ოპონენტ ცნობილ რესპუბლიკელებს მოსვენებას არ აძლევდა, მაგალითად, ბრეტ კავანოს, როცა მას უმაღლესი სასამართლოს წევრად ნიშნავდნენ და ჯეფ სეშნის, აშშ-ის ყოფილ გენერალურ პროკურორს.

2019 წელს დემოკრატმა კამალა ჰარისმა პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის მიღება მოისურვა, მაგრამ მან სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჯო ბაიდენს და 2020 წლის 8 მარტს მისმა საპრეზიდენტო კამპანიამ კრახი განიცადა. იმავდროულად, კამალა ჰარისმა თავის მომხრეებს მოუწოდა, მხარი ჯო ბაიდენისათვის დაეჭირათ, რომელმაც იგი ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. საინტერესოა, რომ ამ ამპლუაში კამალა ჰარისმა გაუძლო მაიკ პენსთან - ცნობილ რადიოწამყვანთან - დებატებს, რომელიც ტელეეკრანზე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ბოლო დრომდე კამალა ჰარისი ჯო ბაიდენის შტაბისათვის ფულის წარმატებულ შემგროვებლად ითვლებოდა და ახლა, საარჩევნო კამპანიიდან ჯო ბაიდენის გასვლის შემდეგ, თავის მიერ შეგროვილ დიდძალ ფულს თვითონვე მოიხმარს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰარისს, გარკვეული წარმატების მიუხედავად, ჯერჯერობით მაინც მძიმედ აქვს საქმე, საზოგადოების წინაშე გამოსვლებში, რაც აუცილებელი თანამგზავრია პოლიტიკოსისათვის. არ არის გამორიცხული, რომ დონალდ ტრამპთან პირდაპირი ტელედებატები, რომელიც ხალხით სავსე დარბაზში ჩატარდება, მან წააგოს.

დონალდ ტრამპისა და მისი მეწყვილის, ჯეიმს დევიდ ვენსის ფონზე, კამალა ჰარისის კონსტრასტი შესამჩნევია: რესპუბლიკელი კანდიდატები ყურადღებას აშშ-ის საშინაო საქმეებზე ამახვილებენ, დემოკრატი კანდიდატი კი - საგარეოზე: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელი ხალხის ფუძემდებლურ ინტერესს შეადგენს ის, რომ აშშ-მა ძველებურად შეასრულოს მსოფლიოში ლიდერი სახელმწიფოს როლი", - განაცხადა კამალა ჰარისმა მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, თებერვალში. მას, როგორც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მრავალი შეხვედრა უნახავს, მრავალ ოპერატიულ თათბირში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ იშვიათად თუ გაუმჟღავნებია პირადი თვალსაზრისი ამა თუ იმ მსოფლიო მოვლენაზე (თუმცა ამაში უცნაური არაფერია, რადგან ვიცეპრეზიდენტები ასე ხშირად იქცევიან). 22-23 ივლისის კვლევაზე დაყრდნობით, კამალა ჰარისს მხარი დაუჭირა რესპონდენტთა 44%-მა, ტრამპს - 42%-მა

გამოკითხულთა 56% დაეთანხმა მტკიცებას, რომ 59 წლის კამალა ჰარისი „გამჭრიახია და სირთულეებთან გამკლავება ძალუძს". 78 წლის დონალდ ტრამპის შესახებ ასეთივე მოსაზრება გაიზიარა გამოკითხულთა 49%-მა

კამალა ჰარისის მდგომარეობა უპრეცედენტოა: მანამდე არც ერთ ამერიკელ პოლიტიკოსს არ დაუწყია ასე გვიან საპრეზიდენტო კამპანია. ყველაფერი რომ ავწონ-დავწონოთ, პრეზიდენტობის შანსები მისთვის საკმაოდ მცირეა, მაგრამ, თავის მხრივ, დონალდ ტრამპიც ისტორიულად არაპოპულარულ კანდიდატს წარმოადგენს, თანაც - გასამართლებულ დამნაშავეს... ამიტომაც ისეთი პროკურორი, როგორიც კამალა ჰარისია, იოლად გამოამჟღავნებს ტრამპის ტყუილებს და ამერიკელ ამომრჩევლებს ექს-პრეზიდენტის მიერ ჩადენილ დანაშაულს პროფესიული დონით გაახსენებს. არჩევნებში გასამარჯვებლად კამალა ჰარისს პარტიის დარაზმვაც მოუწევს, ამომრჩეველთა გულებში ცეცხლის გაჩაღებაც, საკუთარ თავში კი უცნობი ტალანტების გაღვიძება, რომ კამპანია ბოლომდე წარმატებით მიიყვანოს...

# ახალგაზრდები უსაფრთხო წყლისთვის

***ევროპის ფონდის მიერ გამოცხადებულ თემთა შორის კონკურსში „ახალგაზრდული იდეის“ დედოფლისწყაროს კომიტეტმა დაფინანსება მოიპოვა რაჭის და ტყიბულის კომიტეტებთან ერთად. დედოფლისწყაროს კომიტეტის წევრებმა, მოსწავლეებს ჩაუტარეს პრეზენტაციები: სკოლაში არსებულ მდგომარეობაზე, საფრთხეებზე და wash სანიტარია და ჰიგიენაზე. ასევე ბავშვებს ამ თემასთან დაკავშირებით აჩვენეს ფილმი.***

მოგვიანებით „ახალგაზრდული იდეა“-ს წევრები ცოდნის ასამაღლებლად ესტუმრნენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს ფილიალის წყლის ლაბორატორიას, რათა უკეთესად გაეცნოთ წყლის ხასიათი. ასევე მათ გეგმის მეშვეობით შეიტყვეს, თუ როგორ მიეწოდება წყალი მოსახლეობას.

ასევე ახალგაზრდებმა, შეაგროვეს პეტიციები სკოლებში დისპენსერების დადგმასთან დაკავშირებით. მოამზადეს საგანმანათლებლო ვიდეოები, რომლებსაც გაავრცელებენ საკუთარ გვერდზე.

**ანა ბოსტოღანაშვილი** ***(პროექტის მონაწილე):*** „წყალი, ჰიგიენა და სანიტარია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო, გაგვეზიარებინა ჩვენი ცოდნა ამ საკითხებთან დაკავშირებით და აგვემაღლებინა ცნობიერება ახალგაზრდებში, რაც დაგვეხმარება ამ პრობლემის გადაჭრაში. წყლის შესახებ ვნახეთ ფილმიც. ვიმსჯელეთ, არის თუ არა სკოლის შენობებში ხელმისაწვდომობა წყალზე. როგორი სანიტარიული მდგომარეობაა და არის თუ არა ჰიგიენა დაცული. ახალგაზრდულ იდეაში ყოფნა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. საუკეთესო პროექტია,რომელიც უამრავ შესაძლობლობას გვაძლევს ახალგაზრდებს,განვვითარდეთ,ჩვენი ცოდნა და გამოცდილება თემში გავავრცელოთ, აქტივობები კი არსებულ პრობლემებს მოვარგოთ. გვაძლევს საშუალებას ჩვენით წარვმართოთ პროექტები და ავიღოთ პასუხისმგებლობები. ახალგაზრდულმა იდეამ შემძინა თავდაჯერებულობა და გამიღრმავა სურვილი ჩემი თემის უკეთეობისკენ წინსვლაში“.



**თამუნა მჭედლიშვილი** ***(წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს ფილიალის წყლის ხარისხის სპეციალისტი):*** „სასიამოვნო იყო ახალგაზრდების ჩართულობა გარემოს დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით. ამ თემასთან მოზარდები უფრო ახლოს რომ ყოფილიყვნენ,ც მოვიწვიე ადგილობრივი წყალმომარაგების ლაბორატორიაში და ახლოს გავაცანი ის პრობლემა, რაც წარმოიშვა ამ ბოლო პერიოდში სასმელ წყალთან მიმართებაში. აღვნიშნეთ ის ფაქტორი, რომ ჩვენი გეოლოგიური მდებარეობა, კირქვიანი და მინერალებით გამდიდრებული ნიადაგი, ასევე, ბოლო ხანს გახშირებული მიწისძვრებიც კი დიდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს გრუნტის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებელზე. მხოლოდ ხარისხი კი არა, დებეტის სიმცირეც კი შექმნა დედამიწის ქერქში შექმნილმა მოვლენებმა. ახალგაზრდები გულისყურით მადევნებდნენ თვალს ანალიზის პროცესებზე, დამოუკიდებლადაც გავაკეთებინე რეაქციის პროცესები წყალში რაც დღევანდელი პრობლემის მაჩვენებელი არის. გამოსწორების გზებიც დავანახე და იმედი მაქვს ამ სფეროში დაინტერესდებიან და მიმავალში რომელიმე მათგანი გაყვება ამ პროფესიასაც. ჩემთვის საამაყოა ამ ქალაქში ასეთი ჭკვიანი, მოაზროვნე ახალგაზრდების ჩართულობა. მათ ყოველთვის ხელს ვუწყობდი, ვცდილობდი, სხვადასხვა სკოლის ქიმიის პროექტებში ჩავრთულიყავი, მომეწვია ბავშვები და შეეყვარებინათ ეს საქმე, რაგან მომავალ თაობას სჭირდება კიდევ უფრო მზარდი სპეციალისტები, რათა გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული პრობლემები ადვილად და დროულად იქნას მოგვარებული. ისიც აღვნიშნეთ რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში ონკანის წყალი სასმელად არ გამოიყენება და ეს ჩვენი მდგომარეობა ერთადერთი არაა. ჩვენი კომპანია გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს, რა თქმა უნდა, სპეციალისტების ჩართულობით, რათა მდგომარეობა მალე გაუმჯობესდეს. მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს ახალგაზრდებს დაინტერესებისათვის“





მდ „იორის“ ჭაბურღილები



***ილია მარტყოფლიშვილი***

# ოლიმპიადა დაიწყო



**ოლიმპიური თამაშები „პარიზი 2024“ 26 ივლისს საზეიმოდ გაიხსნა. ამჯერად საფრანგეთის დედაქალაქში ოლიმპიადაზე ორი დედოფლისწყაროელი სპორტსმენი ასპარეზობს. არხილოსკალოდან ლაშა ბექაური, სამთაწყაროდან კი გიორგი სარდალაშვილი. წელს ოლიმპიადაზე საქართველოდან სხვადასხვა სახეობაში სულ 28 სპორტსმენი მონაწილეობს, 21 კაცი, 7 ქალი.**

ოლიმპიელების გაცილების საზეიმო ცერემონია თბილისში გაიმართა, სადაც სპორტსმენებმა ფიცი დადეს. ღონისძიებას მთავრობის წევრები და პრეზიდენტი დაესწრნენ. აღინიშნა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი წელსაც სახელმწიფოსგან საჩუქრად 1 მილიონ ლარს მიიღებს. გამგზავრებამდე ქართველი სპორტსმენები კათოლიკოს პატრიარქს შეხვდნენ. ილია მეორემ და მიტროპოლიტმა შიომ ასევე დალოცეს სპორტსმენები და გამარჯვება უსურვეს. უწმინდესმა ოლიმპიელებს საჩუქრად წიგნები გადასცა.

ლაშა ბექაური 90 კგ წონით კატეგორიაში 31 ივლისს იასპარეზებს, ხოლო მისი მეგობარი გიორგი სარდალაშვილი 27 ივლისიდან 60 კგ წონით კატეგორიაში დაიწყებს ბრძოლას.

„ვიბრძოლებთ ოქროს მედლებისთვის! სხვა მედალი არც განიხილება“ - ასეთი კომენტარი გააკეთა ლაშა ბექაურმა ჟურნალისტებთან. საპატრიარქოში გამართული შეხვედრის შემდეგ კი თქვა: „ძალიან დიდ მადლს ვგრძნობ ხოლმე პატრიარქთან ყოველი შეხვედრისას, ჩემთვის უწმინდესი ძალიან დიდი ადამიანია. ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულებითა და ემოციით ვარ ხოლმე. ახლაც დიდი მუხტით გამოვედი საპატრიარქოდან და იმედი მაქვს ყველაფერი კარგად იქნება. ბევრის გაკეთება და მომავალი თაობისთვის დიდი მოტივაციის მიცემა შემიძლია. მინდა, ერთ-ერთი დიდი ქართველი ვიყო, იმ ქართველებს შორის, ვინც ჩვენს ქვეყანას ჰყოლია. მჯერა, ამას გავაკეთებ!“

ლაშა ბექაური ოლიმპიური ჩემპიონი 2021 წლის 28 ივლისს გახდა, მაშინ მან გაზეთ „შირაქს“ უთხრა, რომ 4 ოლიმპიური მედლის მოპოვება აქვს მიზნად.

გიორგი სარდალაშვილი კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონია, ის ტიტულს 20 წლის ასაკში, ორი თვის წინ დაეუფლა. ოქროს მედალი მან 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში აბუ დაბიში მიმდინარე წლის მაისში მოიპოვა.



***ილია მარტყოფლიშვილი***

**ი ყ ი დ ე ბ ა !**

**იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61**

**განცხადება**

2024 წლის 12 აგვისტოს, ორშაბათს 18 საათზე, ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 ძმის მესამე შესახვევი №5-ში შედგება შპს „მემონტაჟეს“-ს (ს.კ. 228544255) პარტნიორთა კრება.

დღის წესრიგი:

1. შპს „მემონტაჟე“-ს სარეგისტრაციო მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. იურდიული მისამართის განსაზღვრა;
3. პარტნიორების გასვლა საზოგადოებიდან;
4. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშვნა.

**შპს „მემონტაჟე“-ს დირექცია.**
**ტელ: 595 215 277**

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 29.07 | | სამშაბათი 30.07 | | ოთხშაბათი 31.07 | | ხუთშაბათი 01.08 | | პარასკევი 02.08 | | შაბათი 03.08 | | კვირა 04.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 21 ° | 14 ° | 26 ° | 16 ° | 28 ° | 16 ° | 25 ° | 16° | 26 ° | 16 ° | 25° | 17 ° | 27 ° | 18 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**